პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 41 (18283) პარასკევი, 19 თებერვალი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

კომუნისტური შემართებით

თბილისის ცხიმკომბინატის დირექტორის შ. ქუტიძის სახელზე მოსკოვიდან სასიხარულო დეპეშა მოვიდა. იტყობინებოდნენ: კომბინატის კოლექტივს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში 1981 წლის მეოთხე კვარტალის ეკონომიკური შედეგების მიხედვით სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნა.

ეს ამ კოლექტივის 85-ე გამარჯვებაა, რაც კომბინატის ხელმძღვანელობის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების გამართული მუშაობის უდავო დადასტურებაა.

მინდობილი საქმისათვის დიდმა პარტიულმა პასუხისმგებლობამ, სამეურნეო თუ მუშათა სოციალური პრობლემების გადაწყვეტისადმი რაციონალურმა მიდგომამ კომბინატის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა ერთ მონოლითურ ორგანიზმად შეეკრა მთელი კოლექტივი. აქ დიდი ხანია მოქმედების დევიზად გადაუქცევიათ კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპი — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის!“. ამიტომ კომბინატში არ არსებობს კადრების დენადობის პრობლემა. მუშაკები უკვე სამი წელია საწარმოს ტოვებენ მხოლოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევასთან ან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

კომბინატში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მძიმე ხელის შრომის ხვედრითი წილის შემცირებას. მექანიზებული და ავტომატიზებულია ყველა შრომატევადი ტექნოლოგიური პროცესი, გეგმაზომიერად იბრძვიან ძირითადი საწარმოო ფონდების გაუმჯობესებისათვის, ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ყაირათიანად ხარჯონ მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსები. ყველა საამქროში და უბანზე დამონტაჟებულია მძლავრი ხმაურდამხშობი მოწყობილობანი. მუშები უზრუნველყოფილი არიან უფასო კვებით. შექმნილია ფსიქოლოგიური განტვირთვის კაბინეტი, აუზიანი ფინური აბანოც კი მოუწყვიათ.

დღეს წარმოების მართვის სისტემაში არ არსებობს მეორეხარისხოვანი საკითხი. როგორც ეკონომიკური, ისე სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაწყვეტა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს. იქ, სადაც ამას არსებითი ყურადღება ექცევა, წარმოების საქმეც წინ მიდის, სახალხო მეურნეობასაც დაგეგმილი ამოგება აქვს. სწორად არ იქცევა ის ხელმძღვანელი, რომელსაც მხოლოდ საწარმოო გეგმების შესრულებაზე გადააქვს მთელი აქცენტი და ნაკლებად ზრუნავს მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობებზე, მატერიალურ და მორალურ წახალისებაზე.

მუდმივი ზრუნვა მუშაკებისთვის ხელს უწყობს მათი შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში ზემოაღნიშნულმა კომბინატმა მუშათა პერსონალის შტატის გაუდიდებლად შეძლო 85 პროცენტით გაეზარდა წარმოების მოცულობა, ხოლო მთელი პროდუქციის ნახევარზე მეტი სახელმწიფო ხარისხის ნიშნით გამოეშვა. არსებითად გაიზარდა კომბინატის მოგებაც. ეს საშუალებას უქმნის საწარმოს მეტი სახსრები გამოყოს სოციალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

— საზოგადოებრივი წარმოების ალმავლობისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის პროფკავშირთა ზრუნვა, როგორც ვიცით, — განაცხადა ახლახან გამართულ საქართველოს პროფკავშირთა XXVII ყრილობაზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, — თავის საბოლოო მიზნად ისახავს ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებას.

ჩვენს რესპუბლიკაში ბევრი კარგი კოლექტივია, რომელთა ყოველდღიური ენერგიული და შემოქმედებითი შრომის შედეგად დღეს საბჭოთა საქართველო, ერთიან ძმურ ოჯახში, მოწინავეთა რიგებში დგას და აგერ უკვე მერამდენეჯერ მტკიცედ ფლობს საკავშირო გარდამავალ წითელ დროშას. ჩვენმა სახალხო მეურნეობამ დიდ წარმატებას მიაღწია მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელიწადს. მაგრამ ეს თვითდამშვიდების, ყურადღების ოდნავ მოდუნების საბაბსაც კი არ გვაძლევს. იმისათვის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში უზრუნველვყოთ სამრეწველო წარმოების მატება 38 პროცენტის დონეზე, საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ მთელი რესურსები, გამოვუშვათ ხუთწლიანი გეგმით დასახულზე 535-540 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია. ამ შემთხვევაში მისი მატების საშუალო წლიური ტემპი 5,9 პროცენტს მიაღწევს დაგეგმილი 5,55 პროცენტის ნაცვლად.

ამ პროგრამის დასაძლევად უკეთ უნდა ვიმუშაოთ, უკეთ მუშაობა კი ნიშნავს უკეთ შევადგინოთ გეგმები და უკეთ შევასრულოთ ისინი. ამაზე დღეს საგანგებოდ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ, როგორც ეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმზე აღინიშნა, ერთ სულ მოსახლეზე მრეწველობის პროდუქციის გამოშვების მხრივ ჩვენ ყველაზე მეტად ჩამოვრჩებით საშუალო საკავშირო დონეს. ამასთან გაუმართლებლად ვამცირებთ სამრეწველო წარმოების მატების ტემპს, რითაც გვარიანად ვასუსტებთ სახალხო-სამეურნეო გეგმის მამობილიზებელ ძალას. და ბოლოს, ხაზი გაესვა, რომ სამრეწველო წარმოების ზრდის სწრაფი ტემპის შენარჩუნება შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გამოვიყენოთ მრეწველობის მეტ წილ დარგებში საწარმოო სიმძლავრენი, გავზარდოთ ეფექტიანობის ისეთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლები, როგორიც არის შრომის ნაყოფიერება და ფონდუკუგება.

ხელმძღვანელობენ რა პარტიის ამ მითითებებით, ინდუსტრიული საქართველოს მშრომელებმა მიმდინარე წლის იანვარში შრომის ნაყოფიერების გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს. ამ ეკონომიკური კატეგორიის მაჩვენებლის გაუმჯობესების ხარჯზე, ნაცვლად სოციალისტური ვალდებულებით გათვალისწინებული 69 პროცენტისა, მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მატება 76,9 პროცენტის ოდენობით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ შრომის ნაყოფიერების დონე დააქვეითა 284 საწარმომ. აქ განსაკუთრებით დიდი ხვედრითი წილი მოდის ხორცისა და რძის მრეწველობის, დამზადების, საშენ მასალათა მრეწველობის და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების, სამრეწველო გაერთიანებების, „სამტრესტისა და „საქჩაის“ კოლექტივებზე.

შრომის ნაყოფიერების გეგმის შეუსრულებლობის მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროში. მეათე ხუთწლედის მანძილზე ეს მაჩვენებელი დაგეგმილ ნიშნულამდე ვერ იქნა აყვანილი ვერც ერთ წელიწადს. გამონაკლისი მხოლოდ 1977 წელი იყო. წლეულსაც, იანვარში შრომის ნაყოფიერების დავალება 95,2 პროცენტამდე ძლივს შეასრულეს! ეს სამინისტროს ხელმძღვანელობისა და პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მთელი ძალების მობილიზაციას, საწარმოო და შრომის დისციპლინის მკვეთრ განმტკიცებასა და გაუმჯობესებას მოითხოვს. დასაგმობია გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის, ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების, თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო დანადგარებისა და ფოთის ელექტრომანქანების გამაძლიერებლების ქარხნების ხელმძღვანელთა მანკიერი პრაქტიკა, როცა ისინი შრომის ნაყოფიერების ზრდას აღწევენ ექსტენსიური ფაქტორების, ესე იგი საწარმოო პერსონალის გაზრდის ხარჯზე.

კომუნისტური გულახდილობითა და პრინციპულობით უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჩვენ არ გვქონია სამრეწველო წარმოების მატების ისეთი ნელი ტემპი, როგორც ეს წლეულს იანვარში გვქონდა. ეს იმიტომ მოხდა, რომ სამრეწველო გაერთიანება „საქთევზმრეწვმა“ გასული წლის იანვართან შედარებით სახელმწიფოს დააკლო 6896 ათასი მანეთის პროდუქცია.

საქმეზე გამოარჩინა

მდინარე ენგურის სათავეებთან ზამთრის თვეებშიც არ წყდება მუშაობა ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. უბანმა, რომელსაც ინჟინერი ბიჭიკო გადელია ხელმძღვანელობს, წარმატებით გაართვა თავი გასული წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობას, შეასრულა სამი მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ასეთი სამუშაო — თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. კოლექტივმა წლევანდელი წელიც კარგად დაიწყო, დასახული გრაფიკის გასწრებით მუშაობს.



სურათზე: ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო უბნის უფროსი ბიჭიკო გადელია.

ი. ჰოხონელიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ყოველი დღე — დამკვრელური!

თბილისი

ხის დამმუშავებელი კომბინატის კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი და შეუდგა ახალი სამეურნეო წლის სახელმწიფო დავალებათა განხორციელებას. პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის იანვრის დავალებები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა.

საწარმოში, როგორც კომბინატის დირექტორის მოადგილემ ნ. ჯაფარიძემ გვითხრა, დიდი ყურადღება ექცევა პროდუქციის ასორტიმენტის განახლებას. უკვე დაიწყო რამდენიმე ნიმუშის დამზადება. ესენია საბავშვო საწოლი, სასადილო მაგიდა, წიგნების კარადა და სხვა, რომლებიც მომხმარებელს მოსწონს.

კომბინატში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს 61-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. შრომითს მეტოქეობაში განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი დამამზადებელი საამქროს კოლექტივმა...

ქუთაისი

მნიშვნელოვნად უსწრებს გრაფიკს „გელათის“ საწარმოო სამკერვალო გაერთიანების კოლექტივი. მკერავთა წარმატება ეყრდნობა შარშანდელი და მიმდინარე წლის მიღწევებს. იანვრის პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის სახელმწიფო გეგმა აქ გადაჭარბებით შესრულდა. წარმოების მოცულობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 7 პროცენტით გაიზარდა, განმტკიცდა შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინა, გრძელდება შრომითი მეტოქეობა ყაირათიანობისათვის, პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირებისათვის. სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოში არ არის არც ერთი ჩამორჩენილი საამქრო, უბანი და ბრიგადა.

გაერთიანების № 1 და № 2 საამქროების კოლექტივები, რომლებსაც ე. ბერაძე და ნ. ივანეიშვილი ხელმძღვანელობენ...

ჯავა

თოვლს დაუფარავს სამხრეთ ოსეთის მაღალი მთები. ყინავს, როცის საავტომობილო გვირაბში კი ოფლი ჩამოსდით ლომგულ ვაჟკაცებს — ამირან ბიკოევის, ვლადიმერ კონიშევისა და გიორგი ხეცურიანის — გვირაბგამყვანთა ბრიგადის წევრებს. ისინი სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან, სტარტი ჩინებულია: დღეში 12-15 ათასი მანეთის სამუშაოები სრულდება, ეს პროცენტული გამოსახულებით 110-115 აღწევს.

მათი ამოცანაა მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წელს 3 მილიონი მანეთის მიწისქვეშა სამუშაოები შეასრულონ. შეუფერხებელი მუშაობისათვის ბრიგადებმა კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შექმნეს. ერთი თვით ადრე შესრულდა შარშანდელი სახელმწიფო დავალებები. დიდი ოქტომბრის რევოლუციის 64-ე წლისთავისათვის, როგორც ცნობილია, შეერთდა ჩრდილოეთი...

მრგვალ მაგიდასთან

ჯეროვნად მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის

მარხილი ზაფხულში უნდა გაამზადო, ურემი — ზამთარშიო, ამბობს ხალხური ანდაზა. როგორ ასრულებენ მას რესპუბლიკის მიწათმოქმედნი, როგორ ამზადებენ მანქანებსა და მოწყობილობას საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის, იცავენ თუ არა ზამთარში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას...

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულის გამოცემისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში გაწეულია გარკვეული მუშაობა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულის გამოსაცემად მომზადებისათვის. შეკრებილია მასალა სამი ტომისათვის, შედგენილია კართოტეკა, გამოცემული და დამტკიცებულია კრებულის მაკეტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულის მომზადებისა და გამოცემის დაჩქარების მიზნით დასახა დამატებითი ღონისძიებანი. კერძოდ, გათვალისწინებულია, რომ საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ 1988-1991 წლებში გამოსცეს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებული 10 წიგნად, თითოეული 45 საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი მოცულობისა და 20 ათასი ტირაჟით.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულისათვის მასალების მომზადება საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციასთან ხელშეკრულებით დაევალა:

ისტორიულ-რევოლუციური და ისტორიული ძეგლები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალს;

ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის რესპუბლიკურ არქეოლოგიურ ცენტრს;

არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლები — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს;

ძველი თბილისის არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლები — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს წინადადება მიეცა მეცნიერულ-მეთოდიკური დახმარება გაუწიოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს, რომლებიც ამზადებენ მასალებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულისათვის და სისტემატური კონტროლი გაუწიონ ამ მუშაობას.

საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა შესაბამისი პოლიგრაფიული ბაზით უზრუნველყოს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მრავალტომიანი კრებულის გამოცემა; გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, რომ დამატებითი საჰონორარო ფონდი გამოეყოს საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას მრავალტომიანი კრებულის მხატვრული გაფორმებისათვის, საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციასთან არსებული კრებულის რედაქციის საშტატო განრიგი შეუსაბამოს არსებულ ნორმებსა და მოთხოვნილებებს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მრავალტომიანი კრებულის გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დაევალათ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1988-1991 წლების სახელმწიფო გეგმებისა და შესაბამისი წლების საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში გაითვალისწინონ, რომ საქართველოს სსრ გამსახკომს გამოეყოს ქაღალდისა და გამოცემისათვის საჭირო სხვა მასალების ფონდი, ხოლო საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციას-შესაბამისი სახსრები და ხელფასის ფონდი.

საქართველოს საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციასა და გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს კრებულის მასალების შეგროვების ორგანიზაციისათვის გამოეყოფა დიდი გამავლობის ორი ავტომანქანა. დამტკიცდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულის რესპუბლიკური სარედაქციო-საგამომცემლო სამეცნიერო საბჭო.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს წინადადება მიეცათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულის რედაქციას საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა კრებულისათვის მასალების გამოვლენისა და შეგროვებისათვის.

(საქინფორმი).

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

18 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტ... პარტიისა და მთავრობის ცალკეული პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქციების თაობაზე მშრომელთა აზრისა და საერთოდ მათი...

სამშობლოს ჯილდოების გადაცემა

მიფრინავს „კოსმოს-1338“

ეკონომია — ეკონომიური — უნდა იყოს

ეძიებს ყოველი მუშაკი

პარტიული ქრონიკა

კადრების დასახმარებლად

ახმეტა. (საქ. კორ.). ახალგაზრდა კომუნისტების სამშედლოდ იქცა პარტიული სკოლა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომთან მოქმედებს. სწორედ აქ იღებენ პირველ წრთნას ახლად არჩეული პარტგუფორგები, საამქრო და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ახალგაზრდა პარტიული მუშაკები, იდეოლოგიური ფრონტის დამწყები მებრძოლები.

სკოლის კარგი ტრადიციები წლების მანძილზე სულ უფრო მდიდრდება. მისი მუშაობის შედეგებიც უფრო მაღალნაყოფიერი და მიზანსწრაფული ხდება. ცხოვრებისეული, პრაქტიკული მაგალითებით კონკრეტდება მისი სასწავლო პროგრამა, რომელიც წარიმართება როგორც თეორიული და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, აგრეთვე თათბირ-სემინარების, ღია მეცადინეობების სახით.

ამ სკოლის სასწავლო პროგრამის ერთი ნაწილის განხორციელებას წარმოადგენდა პარტიის ახმეტის რაიკომის სააქტო დარბაზში ამას წინათ გამართული თათბირ-სემინარი, რომელსაც სწორედ ის ახალგაზრდა კომუნისტები ესწრებოდნენ, რომლებიც ეს-ეს არის გამოდიან პარტიული, ორგანიზატორულ-იდეოლოგიური მუშაობის სარბიელზე. მათთვის საინტერესო და ბევრისმომცემი იყო საუბრები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის „სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობები განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ“, „პირველადი პარტიული ორგანიზაცია პარტიის საფუძველია, შრომითი კოლექტივის პოლიტიკური ბირთვია“, „პარტიული კრება პირველადი პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა, კომუნისტების აზრის სკოლაა“, „მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი და შემოწმება, როგორც პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი“. ლექცია-მოხსენებები წაიკითხეს პარტიის ახმეტის რაიკომის ლექტორ-მომხსენებლებმა, დიდი გამოცდილებისა და პარტიული სტაჟის მქონე პირებმა, რაიკომის პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

შეიმუშავეს რეკომენდაციები

ხაჩხერი. (საქ. კორ.). პარტიული ორგანიზაციების და იდეოლოგიური დარგის მუშაკთა მუშაობის სტილის და მეთოდების დახვეწას, გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის სამზადისს მიეძღვნა ამას წინათ საჩხერეში გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ და პარტიის რაიონული კომიტეტის ინიციატივით მოეწყო.

ვრცელმა აუდიტორიამ ინტერესით მოისმინა მოხსენებები: „სკკპ XXVI ყრილობა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ“, „ლექციური პროპაგანდის აღმზრდელობითი ფუნქციები“, „მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სრულყოფა უმთავრესი საზრუნავია“, „პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით“.

განხილული თემების მიხედვით კონფერენციამ შეიმუშავა რეკომენდაციები.

სწავლობენ მდივნები

ახალციხე. (საქ. კორ.). საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს პარტიულ სამუშაოზე მოვიდნენ ახალგაზრდა კადრები. მათთვის დიდი დახმარებაა პარტიის რაიონულ კომიტეტთან არსებული ერთწლიანი სკოლის მეცადინეობანი, რომლებზეც პარტიული ორგანიზაციების ახლად არჩეულმა მდივნებმა უკვე მოისმინეს საუბრები თემებზე: „პარტბილეთის მოვლა-შენახვა და პარტიული საწევრო შესატანების აკრება-ჩაბარება“, „კომუნისტების პარტიულ აღრიცხვაზე აყვანა და სკკპ წევრებისა და წევრობის კანდიდატების აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნათა დაცვა“, „პარტიული საქმის წარმოება“, „სკკპ წევრობის კანდიდატებთან და ახალგაზრდობასთან მუშაობა“.

ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლაში

ამბროლაური. (საქ. კორ.). საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომთან შექმნილია ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლა, რომელშიც გაერთიანებული არიან სკკპ წევრობის კანდიდატები და სკკპ წევრად ახლად მიღებული ქალიშვილები და ჭაბუკები, სულ 32 მსმენელი. სკოლას პარტიის ამბროლაურის რაიკომის მდივანი დ. გურგენიძე ხელმძღვანელობს.

სკოლის მსმენელებმა უკვე შეისწავლეს ვ. ი. ლენინის ნაშრომები: „რით დავიწყოთ“, „რა ვაკეთოთ“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.

ახალგაზრდა კომუნისტებს საინტერესოდ ესაუბრებიან პარტიის რაიკომის წევრები, ვეტერანი კომუნისტები, გამოცდილი სამეურნეო მუშაკები.

მეშახტის მტკიცე სიტყვა

ჩვენ, მეშახტეები, მუდამ ვგრძნობთ მშობლიური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობას. მარტოოდენ ჩამოთვლაც კი ძნელია იმ დადგენილებებისა, რომლებიც ქვანახშირის მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს. და აი, ამ მზრუნველობის პასუხად ჩემი ბრიგადის თითოეული წევრი ისწრაფვის რაც შეიძლება მეტი ქვანახშირი მიაწოდონ ქვეყანას სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

შარშან, მიუხედავად მუშაობის რთული გეოლოგიური პირობებისა, წარმატებით გავართვით თავი ქვანახშირის ამოღების სახელმწიფო დავალებას, გეგმის გადამეტებით ამოვიღეთ და მომხმარებელს გავუგზავნეთ 2 ათას ტონამდე საკოქსე ქვანახშირი. პირადად მე წლიური ნორმა 145 პროცენტით შევასრულე. ეს წარმატება მოპოვებულია შრომის დისციპლინის განმტკიცების და სანგრევის სრულ წესრიგში მოყვანის შედეგად. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ არსებული სამთო ტექნიკის გამოყენებას, მკვეთრად შევამცირეთ მოცდენები, გავაუმჯობესეთ და დავხვეწეთ ქვანახშირის მონგრევის ტექნოლოგიური პროცესები.

წლების მანძილზე ფეხდაფეხ მოგვყვებიან ჩვენი შრომითი მეტოქენი სოციალისტურ შეჯიბრებაში — ა. გამეზარდაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები, რომლებმაც შარშან ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით ათობით ტონა ქვანახშირი მოანგრიეს. ჩვენს ბრიგადებს შორის შრომითი მეტოქეობა წელსაც გრძელდება. ვცდილობთ არ დავთმოთ პოზიციები და გავიმარჯვოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ამ დღეებში ბრიგადის წევრებმა ერთხელ კიდევ ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და პირობა დავდეთ სსრ კავშირის მე-60 წლისთვის აღსანიშნავად ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა ათი დღით ადრე შევასრულოთ გეგმის გადამეტებით ამოვიღოთ 2500 ტონა საკოქსე ქვანახშირი.

ჩვენი სიტყვის უთუო შესრულების საწინდარია ახალი რეზერვების წარმოების სამსახურში ჩაყენება. ეს რეზერვები კი ასეთია: ახალი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე ქვანახშირის ამოღების პარალელურად გავაძლიერეთ სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა ტემპი. ამ საქმეზე ბრიგადის ორი წევრი, გამოცდილი გვირაბგამყვანები ნ. პატარიძე და ზ. სამაკაშვილი გავაპიროვნეთ. მათ ახლა ჩქაროსნული მეთოდით გაჰყავთ საზიდი და სავენტილაციო გვირაბები. მალე უბანში ამოქმედდება ახალი მიწისქვეშა სანგრევი, რომელიც დღე-ღამეში სულ ცოტა 300 ტონამდე ქვანახშირს მოგვცემს. ახალ სამთო ჰორიზონტზე ვამონტაჟებთ ქვანახშირის ორ მომხვეტ კონვეიერს, რაც დააჩქარებს მონგრეული ქვანახშირის ტრანსპორტირებას, გაზრდის თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერებას. ამთავითვე შევუდექით მზადებას ახალი კონვეიერების დისტანციურ მართვაზე გადასაყვანად. ამით დაიზოგება ელექტროენერგია, გახანგრძლივდება მექანიზმის მუშაობის ვადა.

ჩვენს უბანში, ისევე როგორც მთელ შახტში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ ტრადიციას კვლავ შევინარჩუნებთ. ვფიქრობთ, სანგრევებში დამატებით მოვაწყოთ ორი პუნქტი, სადაც მოვახდენთ ქვანახშირიდან თვალხილული ფუჭი ქანების გამოცალკევებას. ეს ღონისძიება ამოღებული ქვანახშირის ნაცრიანობას არა ნაკლებ 0,1 პროცენტით შეამცირებს.

ვსახავთ ხის, ლითონისა და სხვა დამხმარე მასალების ეკონომიურ ხარჯვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს. განზრახული გვაქვს წლეულს დავზოგოთ 50 კუბური მეტრი ხის მასალა.

მთავარი რეზერვი მაინც თითოეული ჩვენთაგანია. ამიტომ ვცდილობთ ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ ჩვენი დამოკიდებულება შრომისადმი, განუხრელად დავიცვათ შრომის დისციპლინა, არ დავუშვათ სამუშაო დღის უმიზეზოდ გაცდენა და დაგვიანება.

ბრიგადამ წლეულს ქვანახშირის ამოღების იანვრის თვის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. სწრაფ ტემპსა და შემართებას მომავალშიც შევინარჩუნებთ და ხუთწლედს ოთხ წელიწადში შევასრულებთ.

ე. ჩაფიძე,
ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

სირთულეთა დაძლევით

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი ყოველთვის რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მოწინავეთა რიგებშია. იგი არა ერთხელ და ორჯერ გამოსულა შრომითი მეტოქეობის ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვის ინიციატორად.

კარგად იშრომეს მკერავებმა მეათე ხუთწლედში და მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს. წარმატებების მიღწევა მათ მთელი რიგი ტექნიკური და საორგანიზაციო ხასიათის სირთულეთა დაძლევით უხდებათ. საქმე ის არის, რომ საწარმო მნიშვნელოვან განახლებას მოითხოვს. არ არის შექმნილი ყველა პირობა იმისათვის, რომ სრულყოფილი გახდეს პროდუქციის გამოშვების ერთიანი ტექნოლოგიური ციკლი. ამას ხელს უშლის საწარმოო უბნების ერთმანეთისაგან სიშორე და სხვა ფაქტორები. ყოველივე ამას ფაბრიკის კოლექტივი თავდადებულ გარჯას უპირისპირებს და იმარჯვებს კიდევაც.

დამაჯერებელ შედეგს აღწევს საწარმოს კოლექტივი სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს 61-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში. იანვრის პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა 101,8 პროცენტით შესრულდა და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 4,8 პროცენტით გაიზარდა. ამას ხელი შეუწყო ახალი ტექნიკის დანერგვამაც. ამჟამად ფაბრიკაში სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების საერთო მოცულობაში 21,8 პროცენტს მიაღწია. მკერავებმა კარგა ხანია დანერგეს მუშაობის ბრიგადული ფორმა, რომელიც აქ ძირითადი გახდა. ამას კი, როგორც ცნობილია, მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ. დამკვიდრდა და წარმატებით მოქმედებს ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა, შემუშავდა და დაინერგა ათობით შიდასაწარმოო სტანდარტი.

გ. უროტაძე.

სურათზე: ფაბრიკის № 4 სამკერვალო საამქროს მოწინავეთა ერთი ჯგუფი — მკერავი ნ. ჯინჭველაშვილი, საამქროს უფროსი დ. ფრანგიშვილი, მკერავები ნ. მღებრიშვილი და ქ. ვარდოევი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

საწარმოს დამხმარე მეურნეობა

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას აქვს კარგად ორგანიზებული დამხმარე მეურნეობა. მეღორეობის კომპლექსი წლეულს 40 ტონა ხორცს დაამზადებს, ხოლო სასათბურე მეურნეობა — 60 ტონა კიტრსა და პამიდორს.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობას, დამხმარე მეურნეობის მოწყობა რომ გადაწყვიტა, არაფერი დაუზოგავს. ამ ამბავსაც ჩვეული გულმოდგინებით შეხვდნენ მეტალურგები. ვიდრე მეღორეობის კომპლექსის მშენებლობას დაიწყებდნენ, აქ რკინაბეტონის გალავანი შემოურტყამთ საიმედოდ და საშვილიშვილოდ. ჩვენებური გლეხკაცივით გარჯილან, სახლის მშენებლობის დაწყების წინ ადგილს რომ მოასუფთავებენ და საგულდაგულოდ შემოღობავენ ხოლმე. მეტალურგებმა საქვეყნო საქმისთვის თავის გამოდება ხომ იციან და იციან, სათავისო საქმისთვისაც კარგად გამოიღეს ხელი. 7 ჰექტარი მიგდებული მიწა მოაწესრიგეს, სადაც საჭირო იყო ასფალტი დააგეს, წყალი და ელექტრობაც გაიყვანეს. მერე საგულდაგულოდ ააგეს ნეზვების სადგომი, გოჭების გამოსაზრდელი და ორი სასუქებელი მოედანი. ყველაფერი ისეა გაკეთებული, უნებლიეთ გაიფიქრებ: ნეტა ბევრ სპეციალიზებულ მეურნეობაში გვქონდეს საქმე ასე მოგვარებულიო.

მეგზურობას გვიწევდნენ მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირების საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე იური მარგალიტაძე და მეღორეობის კომპლექსის უფროსი ელიზბარ თუშური. ელიზბარი ახალგაზრდა კაცია, საქმე უყვარს, იგი კმაყოფილებით ლაპარაკობს წარმატებებზე და გულისტკივილით აღნიშნავს ნაკლს.

ღორებს კარგად უვლიან. აქ დღეს 12 კაცი მუშაობს, ჰყავთ ზოოტექნიკოსი, ვეტექიმი, მექანიზატორი და მომვლელები. ბარე ხუთჯერ მეტი ხალხი სჭირდებოდათ, ახლა კი ყველაფერი მექანიზებულია, საქმეს ცოტანიც აუდიან.

550 სული ღორი ჰყავთ დღეს დამხმარე მეურნეობაში. აქედან 50 ნეზვია, 80 გოჭია და დანარჩენს ასუქებენ. თეთრი, მსხვილი ჯიშის ღორებს კარგად უვლიან. ამ ჯიშის ღორები წონაში მალე იმატებენ. ჰყავთ აგრეთვე რამდენიმე ლიტვური ჯიშის ნეზვი, რომლებიც არ მოსწონთ, გოჭებს კი დაყრიან, მაგრამ მერე ვეღარ ზრდიან, ჩვენს პირობებს ვერ ეგუებიანო. აქ ალბათ სათანადო მოვლის ამბავი უნდა იყოს, ლიტვური ჯიშის ღორებს ერთი კარგი თვისება აქვთ — ტანით ერთობ გრძელები არიან და ძალიან არ სუქდებიან. გემრიელი ხორცი აქვთ, მათი მოშენება საჭიროც არის და აუცილებელიც. ეტყობა, მათ სხვაგვარი მოვლა და კვება სჭირდება. აი საკვების საკითხი კი აქ ცუდად არის (ამიტომაც უჭირთ ლიტვური ჯიშის ღორებს).

საკვებად ძირითადად იყენებენ ქარხნის სასადილოებისა და მოსახლეობის საჭმელების ნარჩენებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ჰყოფნით. რუსთავი სამრეწველო ქალაქია და სხვა ქარხნებსაც აქვთ დამხმარე მეურნეობები, მათაც ხომ სჭირდებათ საკვების ნარჩენები, ეტყობა, რაღაც გზის მოძებნაა საჭირო. თუ დამხმარე მეურნეობას ამ „სახორცე საამქროებში“ საკმარისი საკვები ექნება, ეს შენობა-ნაგებობანი ორ ამდენ ღორს დაიტევდა.

დამხმარე მეურნეობის მომწყობნი ფიქრობენ აქვე ააშენონ სათრინველე და საძროხე. ჩვენი აზრით, ამის გაკეთება გამართლებული არ იქნება. ძროხისა და ღორის ერთად შენახვა არ გამოდგება. ჯობია ეს კარგი ადგილი და ტერიტორია ისევ მეღორეობის კომპლექსის შემდგომი გაფართოებისათვის გამოიყენონ.

იქვე, გზის მეორე მხარეს, 10–12 ჰექტარი სახნავი მიწა აქვთ შემოღობილი, სადაც საკვებ ბალახს თესავენ, მაგრამ ძალზე ცუდ მოსავალს იღებენ, აქაც რაიმე კარგის მოფიქრება და განხორციელება მართებთ, მით უმეტეს, რომ კომპლექსს საკვები ძალიან უჭირს.

შარშან ამ დამხმარე მეურნეობიდან ქარხნის მუშათა სასადილოებმა 20 ტონა ხორცი მიიღეს. წლეულს, შარშანდელთან შედარებით, ორჯერ მეტი ღორი ჰყავთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ „საამქროდან“ წლის ბოლოსთვის 40 ტონა ხორცს მისცემენ ქარხნის მშრომელებს. ეს ვარაუდები რეალურ საფუძველზეა დამყარებული, დღეისათვის ამ დამხმარე მეურნეობიდან ქარხნის სასადილოებმა უკვე 5 ტონაზე მეტი ხორცი მიიღეს.

მეღორეობის ამ კომპლექსთან ახლოს არის სასათბურე მეურნეობაც. აქ ერთ ჰექტარ სათესში წელიწადში ორჯერ, გვიან შემოდგომაზე და ადრიან გაზაფხულზე მოჰყავთ 60–70 ტონა კიტრი და პამიდორი, ბრიგადირმა გიორგი წიკლაშვილმა დაგვათვალიერებინა მშვენივრად მოვლილი სასათბურე მეურნეობა, გვიჩვენა მეორე რიგის მშენებლობაც. კიდევ ერთი ჰექტარი მოგვემატებაო, გვითხრა გიორგიმ და დასძინა: როგორც ცნობილია, კიტრს სხვანაირი მოვლა უნდა, პამიდორს სხვანაირი. კიტრს, მაგალითად, ტენი უყვარს, პამიდორს შედარებით მშრალი ნიადაგი და ნიავი რგებს. ამდენად, როდესაც სასათბურე მეურნეობის მეორე ჰექტარიც გაიმართება (ჩონჩხი შეკრულია, ნიადაგი დამუშავებული, საჭიროა მხოლოდ შემინვა), ერთ ჰექტარზე სულ კიტრს დავთესავთ ხოლმე, მეორეზე პამიდორს. ეს გაზრდის მოსავლიანობას და მეტალურგებს ყოველწლიურად 140–150 ტონა კიტრსა და პამიდორს მივცემთ.

როდესაც სასათბურე მეურნეობიდან გამოვდიოდით, ქარხნის პროფკავშირების საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ იური მარგალიტაძემ სხვათა შორის გვითხრა: ეგ ბრიგადირი, გიოგი წიკლაშვილი, მეტალურგიული ქარხნის საგლინავ საამქროში მუშაობდა. იმ წლებში დაუსწრებლად სწავლობდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და როდესაც აგრონომი დაგვჭირდა, რაღა სხვაგან გვეძებნა, ჩვენს კაცს ვიყენებთ.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დამხმარე მეურნეობის „აგრარულ საამქროებშიც“ დიდი შრომაა გაწეული. ეს სიკეთე კი იქიდან მოდის, რომ ქარხნის დირექცია და პარტიული კომიტეტი ამ მეურნეობას ყოველთვის თანამიმდევრულ და საქმიან დახმარებას უწევენ, რაც იმის საუკეთესო გარანტიაა, რომ მეურნეობა უფრო გაიზრდება და განვითარდება.

ჯ. ქურხული,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ზრუნვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის

ძიება, მიგნება

„სოციალურ ამოცანათა შორის არ არის უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა“, ხაზგასმით ითქვა პარტიის XXV ყრილობაზე. ამ ლენინური დებულების ლოგიკური გაგრძელებაა პარტიის XXVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანი ყველგან და ყოველთვის იღებდეს დროულ, კვალიფიციურ და გულისხმიერ სამედიცინო დახმარებას“.

ეს სიტყვები მედიცინის ყველა მუშაკის სამოქმედო პროგრამაა, სწორ, შემოქმედებითს მიმართულებას ანიჭებს მედიკოსთა მუშაობას, ამასთან მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის მაღალ პასუხისმგებლობას აკისრებს მათ.

სწორედ ასეთი განწყობილებით იღწვიან ფოთის მედიცინის მუშაკები. სტიმულს ისიც გვაძლევს, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად განმტკიცდა ქალაქის სამედიცინო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაისახა საქმიანი ურთიერთობის ახალი გზები ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შორის, რამაც წინ წასწია სამედიცინო დახმარების საქმე. ვამოიკვეთა ჯანდაცვის ორგანიზაციის პერსპექტივები.

მეათე ხუთწლედში აშენდა 250-საწოლიანი საავადმყოფო-კომპლექსი, ახალი პოლიკლინიკა, რომელსაც ცვლაში შეუძლია 800 კაცი მიიღოს. მომავალი თაობის სამსახურში ჩადგა 85-საწოლიანი ბავშვთა საავადმყოფო და პოლიკლინიკა, რომელიც ცვლაში 200 პატარა პაციენტს მიიღებს. ეს სამედიცინო დაწესებულებები აღჭურვილია თანამედროვე სამკურნალო-დიაგნოსტიკური საშუალებებით, დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. კეთილმოწყობილ შენობებში გადაინაცვლეს სამშობიარო სახლმა, სანეპიდსადგურმა, ტუბდისპანსერმა.

ფოთელ მედიკოსთა წარმატებაში დიდია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წვლილი. ისინი ბევრს ზრუნავენ იმისათვის, რომ მშრომელები გარანტირებული იყვნენ მაღალკვალიფიციური და კულტურული სამედიცინო მომსახურებით. ამის გარანტიაა ჯანდაცვის ორგანიზაციის საზოგადოებრივ საქმედ გადაქცევა, როცა საზოგადოებრივი მოქმედების ყველა არხი თავის ხელს შეაგებებს მშრომელთა სამედიცინო დახმარებას. სწორედ ეს გახლავთ სახალხო ჯანდაცვის საბჭოური კანონმდებლობის ქვაკუთხედი.

პარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ქალაქის თითქმის ყველა მსხვილი სამრეწველო საწარმო ჩააბეს სამკურნალო დაწესებულებათა კეთილმოწყობის საქმეში, არ იშურებენ არც ფულად, და არც მატერიალურ სახსრებს. მაგალითად, ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთსარემონტო და გემთსაშენებელმა ქარხანამ 4.200 მანეთი მოახმარეს № 2 პოლიკლინიკის კეთილმოწყობას. ეს საწარმო 1982 წელს ქარხნის დასახლების უბანში ახალი პოლიკლინიკის ორსართულიან შენობას აგებს. ჰიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელმა ქარხანამ სამშობიარო სახლს უფასოდ დაუმონტაჟა ცენტრალური გათბობის სისტემა, რომლის ღირებულება 4.600 მანეთია. ამ საწარმომ სამკურნალო დაწესებულებებს გადასცა წყალსატუმბი ძრავები, ცეცხლგამძლე აგური, სახურავი მასალა და მედიკამენტების შესაძენად 500 მანეთი გამოუყო. ქა-

სამკურნალო დაწესებულებებს შეფობენ

რხანა „ფოთელექტროაპარატმა“ სტომატოლოგიური პოლიკლინიკისათვის 2.300 მანეთის დანადგარები შეიძინა. ქალაქის სამედიცინო ქსელის კეთილმოწყობაში, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში თავი გამოიჩინეს აგრეთვე ხორცისა და რძის კომბინატმა, ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხანამ, მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობამ და სხვებმა. ამ საწარმოებმა 1800 მანეთი გამოუყვეს სამედიცინო დაწესებულებებს მედიკამენტების შესაძენად.

დიდძალ სახსრებს ახმარს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა კეთილმოწყობასა და მედიკამენტების შეძენას. ამ მიზნით ბოლო ხანს ბიუჯეტის გადამეტებით 335 ათასი მანეთი გამოიყო.

სამედიცინო დახმარება უტრანსპორტოდ შორს ვერ წავა. ქალაქის სამედიცინო ქსელისათვის სპეციალური ავტომანქანების ნაკლებობა ქრონიკულად იქცა, რის გამოც ხშირად ბრკოლდებოდა ოპერატიული დახმარება. საქალაქო საბჭოს აღმასკომმა კარგ გამოსავალს მიაგნო — ამ საქმის მოგვარება მსხვილ სამრეწველო და სატრანსპორტო ორგანიზაციებს დაავალა და მათთან ერთად შეიმუშავა გრაფიკი. ამ ღონისძიებამ უზრუნველყო დროული, ოპერატიული და ეფექტიანი სამედიცინო დახმარება.

წლეულს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ბავშვთა საავადმყოფოს, კანისა და ვენერიულ დაავადებათა დისპანსერის კეთილმოწყობისათვის დამატებით გამოჰყო 80 ათასი მანეთი. ცხადია, აღნიშნული თანხა მთლიანად ვერ დააკმაყოფილებს ამ სამედიცინო დაწესებულებათა მოთხოვნებს, მაგრამ თავისთავად ეს კარგი დასაწყისია და, იმითაც ვიმედოვნებთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო არ მოგვაკლებს ყურადღებას.

მეტად პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტა დაგვაკისრა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ. ფოთი რესპუბლიკაში პირველი ექსპერიმენტული ქალაქი იქნება მოსახლეობის მთლიანი დისპანსერიზაციის მხრივ. როგორც მოგეხსენებათ, პროფილაქტიკური მედიცინის უმნიშვნელოვანესი რგოლი — დისპანსერიზაცია მშრომელთა გაჯანსაღებისა და დაავადებათა თავიდან აცილების საიმედო გარანტიაა. ყველა ის ორგანიზაციული ღონისძიება და ქმედითი დახმარება, რომლებიც სამინისტრომ დაგვისახა, დადებითს შედეგს იძლევა. ამაზე მეტყველებს დისპანსერიზაციის როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლები.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი ჩვენთვის საკმაოდ ნაყოფიერი იყო, მაგრამ ეს არ კმარა. ფოთი მზარდი სამრეწველო ქალაქია, და, ცხადია, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წინაშეც სერიოზული ამოცანები დგას. მათ შორის პირველ პლანზეა სამედიცინო დახმარებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ სრულვყოთ მოსახლეობის სანიმუშო სამედიცინო მომსახურება.

ვ. ვეძუა,
ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე.

საბჭოთა საქართველოში გამომავალ უძველეს გაზეთებს შორის ერთ-ერთი პირველებია გაზეთები „საბჭოთა აჭარა“ და „სოვეტსკაია ადჟარია“. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჩასახვიდან დღემდე ეს გაზეთები მხარში უდგანან საოლქო პარტიულ ორგანიზაციას, მთავრობას სოციალისტური აღმშენებლობის ყველა ეტაპზე და უბანზე, ისინი მასების პოლიტიკური აღზრდის, პარტიის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის ბრძოლაში მშრომელთა კოლექტივების დარაზმვის იდეოლოგიური იარაღია.

ხვალ აღინიშნება ამ გაზეთების დაარსების 60 წლის თავი.

გაზეთი „კომუნისტი“ მხურვალედ ულოცავს მათ ამ დღესასწაულს და ტრიბუნას უთმობს იუბილარი გაზეთების რედაქტორებს.

საბჭოთა აჭარა

ჩვენი პარტიული მოვალეობა

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღეს ბათუმში გამოვიდა „საბჭოთა აჭარის“ წინამორბედი გაზეთის „უწყებების“ პირველი ნომერი, მაშინ იგი, ორ გვერდზე გამომავალი, სულ რაღაც 400 ეგზემპლარი იბეჭდებოდა. „უწყებები“ იყო ბათუმის რევოლუციური კომიტეტისა და მეთერთმეტე წითელი არმიის პოლიტგანყოფილების ორგანო.

მოგვიანებით „პროლეტარიატის ბრძოლად“, „ბრძოლად“, „ფუხარად“, „საბჭოთა აჭარისტანად“ წოდებული და, ბოლოს, 1936 წლიდან — „საბჭოთა აჭარად“ გადარქმეული ჩვენი გაზეთი, რომ იტყვიან, ქუდბედით დაიბადა. მისი პირველი რედაქტორი იყო ცნობილი პარტიული მოღვაწე და პუბლიცისტი მ. ტოროშელიძე. მან რედაქციის საქმიანობაში მტკიცედ დანერგა ჟურნალისტიკის ბოლშევიკური ლენინური პრინციპები და ტრადიციები.

ეს ტრადიციები განაგრძეს და გაამდიდრეს სხვა რედაქტორებმაც — ს. ჩიხლაძემ, გამოჩენილმა რევოლუციონერმა და ჟურნალისტმა თ. ჟღენტმა, რომელიც, სხვათა შორის, 1920 წელს „კომუნისტის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო, ნ. ზომლეთელმა-ქურიძემ, ო. სიხარულიძემ და სხვებმა. შემდეგ, სხვადასხვა დროს, რედაქტორები იყვნენ დ. დუმბაძე, ა. კელენჯერიძე, პ. კოხრეიძე, რ. სირაძე.

ამ ათი წლის წინათ, დაარსების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე რომ გადაიხადა, გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, ისევე როგორც მეზობელი გაზეთი „სოვეტსკაია ადჟარია“, დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ხანგრძლივ ნაყოფიერ მოღვაწეობაში განსაკუთრებით გამოირჩევა ბოლო ათწლეული, რამდენადაც ეს პერიოდი მთელი საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში დიდ საქმეთა უმდიდრესი ეტაპია.

ეკონომიკური აღორძინების, სოციალურ გარდაქმნათა და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების განვლილი ათწლეულის მანძილზე „საბჭოთა აჭარის“ ჟურნალისტები ცოდნას, გამოცდილებას, ენერგიას დაუშურველად ახმარდნენ იმ ახალი კურსით რესპუბლიკის აღმასვლას, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებით რომ დაისახა. ამ დადგენილების ხორცშესხმისათვის ბრძოლამ დიდი სიკეთე მოუტანა ჩვენს ხალხს, აღამაღლა საბჭოთა საქართველოს ავტორიტეტი და შორს გაიტანა მისი სახელი.

რესპუბლიკაში შექმნილმა ახალმა ვითარებამ ჩვენგან მოითხოვა მთელი ძალების დაძაბვა, კავშირის განმტკიცება მშრომელებთან, მუშსოფლკორებთან და აქტივთან, ჟურნალისტური არსენალის გამდიდრება და სრული ამოქმედება, პუბლიცისტური საწყისების განვითარება. ჩვენ ეს დროზე ვიგრძენით, შევიგნეთ და მთელი განვლილი ათწლეულის მანძილზე სრულვყოფდით პროფესიულ ოსტატობას, გარდავქმნიდით ჩვენს საქმიანობას, რადგან მტკიცედ ვირწმუნეთ — ვისაც სურს აქტიური მონაწილეობა მიიღოს დიად გარდაქმნათა და ძირეული გადახალისების გრანდიოზულ პროცესში, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს რესპუბლიკაში, იგი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ უნდა გარდაიქმნას და გადახალისდეს.

„საბჭოთა აჭარის“ ათი წლის წინანდელი და დღევანდელი პუბლიკაციების შედარება გვარწმუნებს, რომ წინ გადადგმული ნაბიჯი თვალსაჩინოა.

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მთავარი საზრუნავი იყო და არის იმ პოზიტიური ძვრების წარმოჩენა და მათი დამკვიდრებისათვის ბრძოლა, ბოლო ათწლეულის მანძილზე რომ მოხდა ეკონომიკაშიც და ადამიანთა ფსიქოლოგიაშიც. და ამიტომაც ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის საყოველთაოდ ცნობილ წარმატებებში „საბჭოთა აჭარის“ წვლილიც არის. ეს შესაძლებელი გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მუდმივი ხელმძღვანელობისა და დახმარების, ჟურნალისტებისათვის, პრესის აღმავლობისათვის მათი ზრუნვის მეოხებით.

დაიწყო „საბჭოთა აჭარის“ მეშვიდე ათწლეული, ჩვენთვის ნათელია, რა და როგორ უნდა გავაკეთოთ მომავალ ათწლეულში, რადგან ხელთა გვაქვს მოქმედების მკაფიო და ზუსტი პროგრამა, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ნოემბრის პლენუმზე ჩამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

„მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებამ, — თქვა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ ამ პლენუმზე, — რომლებიც ფართო პროპაგანდას უწევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს, ყოველმხრივ, მკაფიოდ და გასაგებად წარმოაჩინონ წარმატებებს, აქტიურად უჭერენ მხარს მასების ინიციატივას, ეხმარებიან რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებაში, დაწვრილებითი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ადამიანებს იმის თაობაზე, თუ რა ნაბიჯები იდგმება რესპუბლიკაში ნაკლოვანებებისა და სიძნელეების დაძლევისათვის, მოსახლეობის ყოველივე საჭიროთი უზრუნველყოფისათვის, ხოლო თუ ეს ღონისძიებანი არ ხორციელდება, უნდა გაირკვეს, ვისი მიზეზით ხდება ეს“.

ჩვენ, „საბჭოთა აჭარის“ ჟურნალისტები, ყველაფერს ვიღონებთ, რათა ვიმოქმედოთ ამ პროგრამის შესაბამისად, მუდამ მხარში ვედგეთ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და განუხრელად ვასრულებდეთ მის მითითებებს, მუდამ ვიყოთ მოწოდების სიმაღლეზე, ვიხელმძღვანელოთ პარტიული ჟურნალისტიკის ლენინური პრინციპებითა და ტრადიციებით, „საბჭოთა აჭარა“ გავხადოთ მშრომელი მასების ნამდვილ ტრიბუნად — ყოველივე ეს მიგვაჩნია პარტიულ მოვალეობად.

წარმატებული იყოს ჩვენი შესვლა მეშვიდე ათწლეულში!

შ. ქურიძე,
გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორი.

Советская Аджария

მუდამ პოსტზე!

ჩვენი გაზეთის პირველი ნომრის პირველ გვერდზე წარწერილი იყო ყოველი მშრომელისათვის ძვირფასი ლოზუნგი: „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

აი, უკვე 60 წელზე მეტია აჭარელი მშრომელები ამკვიდრებენ და ახორციელებენ ამ ლოზუნგს, რომელიც გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ მთავარი თემაა.

ბრძოლისა და გამარჯვების სამოცწლიანი ეზის შესახებ გვიამბობს გაზეთ „იზვესტიის“, „ტრუდოვოი ბატუმის“, „ტრუდოვოი ადჟარისტანის“, „ბატუმსკი რაბოჩის“ გაყვითლებული დასტები — ასე იწოდებოდა სხვადასხვა წლებში ახლანდელ „სოვეტსკაია ადჟარიას“.

1931 წელი. გაზეთი აჭარლებულია სათაურებით: „გავათავისუფლოთ ჩვენი ქვეყანა ჩაის ექსპორტისაგან!“, „გადავაქციოთ კოლხეთი კომკავშირული გმირობის მხარედ!“...

სოციალიზმი გაშლილი ფრონტით მიიწევდა წინ. აჭარის სოფლებში იქმნებოდა კოლმეურნეობები. კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების აღფრთოვანებული კოლმეურნეები აშრობდნენ ჭაობებს, მიჰკვავდნენ ეკალ-ბარდებს და აშენებდნენ ჩაის პლანტაციებს.

იყო დრო, როცა აჭარელი მეჩაიეების წინაშე იდგა ამოცანა — მოეკრიფათ 700 ტონა ჩაის ფოთოლი!

შარშან აჭარელმა მეჩაიეებმა 68.988 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. მარტო ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობამ 2.505 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა — სამჯერ მეტი, ვიდრე მთელმა აჭარამ 1931 წელს.

მეჩაიეთა დასახმარებლად მოვიდა შესანიშნავი ჩაის საკრეფი მანქანები „საქართველო“, ხელის ელექტროაპარატები. აჭარაში 15 ჩაის ფაბრიკა და ერთი ჩაის საწონი ფაბრიკა მუშაობს. ქართული ჩაი არათუ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, საზღვარგარეთაც იგზავნება. ახლა ახალი, უფრო მაღალი მიჯნებია დასახული — ლაშქრობაა ქართული ჩაის ხარისხის, მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

ყოველივე ამას გვიამბობდა და გვიამბობს გაზეთი „სოვეტსკაია ადჟარია“. ყოველივე ამას გვიამბობენ გაზეთის მთავარი კორესპონდენტები — მუშები და კოლმეურნეები, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

განვლილი სამოცი წლის მანძილზე განუზომლად ამაღლდა ჩვენი მუშა და სოფლის კორესპონდენტების პოლიტიკური სიმწიფის, ზოგადი განათლებისა და იდეური დონე.

ვის შეეძლო სოფლკორობა ოციან წლებში? ეს იყო ხოლმე სოფლის ერთადერთი წერა-კითხვის მცოდნე კაცი, რომელთანაც უწიგნური გლეხები მიდიოდნენ და სთხოვდნენ გაზეთისათვის მიეწერა მათი აზრი.

ახლა ყველას შეუძლია თვითონ მოსწეროს გაზეთს. დღევანდელი მუშკორები და სოფლკორები — ესენი არიან ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური, კომუნისტურად მოაზროვნე ადამიანები; ისინი გაზეთის ფურცლებზე აღძრავენ აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხებს, რომლებსაც საზოგადო მნიშვნელობა აქვს და რომელთა მიზანია ჩვენი პარტიის დიდებული გეგმების წარმატებით შესრულება.

საინტერესო პრობლემური სტატიები დაუბეჭდიათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს კოლმეურნეობის მერგოლეურს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატს, სოციალისტური შრომის გმირს გუგული ჭანიძეს, ბათუმის გემთსაშენებელი ქარხნის ბრიგადირს, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატს აფრასიონ დიასამიძეს, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის სამსხმელო საამქროს მეყალიბეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატს ალექსანდრე პლუტნიცოვს, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ხარატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრს, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ვლადიმერ დოლიძეს, ბათუმის საავიაციო საწარმოს ელექტრომემონტაჟეს, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატს გრიგოლ ანდრიაშჩენკოს, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობის მეჩაიე გულნარა ლქვაძეს და მრავალ სხვას.

ათობით მოხალისე მონაწილეობს გვერდის — „სახალხო კონტროლი მოქმედებს“ — დაბეჭდვაში, მუშკორთა რეიდების მოწყობაში.

ჩვენი მთავარი კორესპონდენტი მუდამ პოსტზეა.

გაზეთის მუშაობაში მონაწილეობა სოციალისტური დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთი ბრწყინვალე დასტურია და ჩვენ კვლავაც განვავითარებთ მუშსოფლკორელთა მოძრაობას — საბჭოთა პრესის ძალასა და ქმედითობის ერთ-ერთ წყაროს.

ვ. მარღანიძე,
გაზეთ „სოვეტსკაია ადჟარიას“ რედაქტორი.

დღესასწაულის დღიური: დღე მეორე

მეგობრობის ტრადიციების დღეგრძელობისა და დამკვიდრებისათვის

თბილისისა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტების რექტორებმა ვ. ოკუჯავამ და ზ. ანჩაბაძემ თავიანთ ავტოგრაფები წააწერეს წიგნის „საბჭოთა საქართველოს“ საიუბილეო გამოცემას, რომელიც თბილისში ჩამოსულ აფხაზეთის უნივერსიტეტის დღეების ყველა მონაწილეს მიართვეს.

ამ წიგნთაგან ერთ-ერთს განსაკუთრებული პატივი დაედო.

— ამ ეგზემპლარს გადავცემთ დიმიტრი გულიას მუზეუმს ორი მოძმე ხალხის ცხოვრების ღირსახსოვარი მოვლენის აღსანიშნავად, — თქვა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგემ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დიმიტრი გულიამ. აფხაზეთის კულტურისა და განათლების უდიდესი მოამაგის შვილიშვილმა მადლობა მოახსენა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის დათვალიერებისას.

საქართველოს უძველესი უმაღლესი სასწავლებლის გამოცდილებას, რომელიც უკანასკნელ ხანს ყველაზე თანამედროვე მოწყობილობით, მრავალფეროვანი სასწავლო ტექნიკური საშუალებებით, მეთოდიკური დამხმარე სახელმძღვანელოებით აღიჭურვა და ამის მეოხებით ნიადაგ სრულყოფს სწავლების მეთოდიკას, უთუოდ გამოვიყენებთ ჩვენს მუშაობაში, — თქვა აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ზ. ანჩაბაძემ.

სამი წლის წინ სოხუმში, სადაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქმნებოდა, თბილისის უნივერსიტეტიდან გაიგზავნა ფიზიკის ლაბორატორიის მოწყობილობა, ასობით ტომი საჭირო ლიტერატურა. ახლა კი უმაღლესი სასწავლებლის დელეგაციას შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა იმ სამეცნიერო დაწესებულების — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალ ენერგიათა ფიზიკის ინსტიტუტის მუშაობას, რომელიც ასევე ერთი მოკრძალებული ფიზიკის ლაბორატორიის საფუძველზე აღმოცენდა მრავალი წლის წინათ.

ახალი მაღლივი კორპუსებიდან აფხაზეთის დელეგაციის წევრები გაემართნენ ილია ჭავჭავაძის სახელობის პროსპექტზე მდებარე შენობისაკენ, სადაც უმაღლესი განათლება მიიღო ბევრმა აფხაზმა მამულიშვილმა, იმათ, ვინც დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული კულტურის აყვავების, ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების საქმეს.

... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში აფხაზური, ქართული და რუსული საუბარი ისმის. ორი უნივერსიტეტის კოლექტივების წარმომადგენლები აქ გამართულ მეგობრობის მიტინგზე მოვიდნენ.

...საზეიმოდ ჟღერს სტუდენტური ჰიმნი „გაუდეამუს“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ოკუჯავამ გამოაცხადა, რომ მიტინგის მონაწილენი ერთდროულად ესწრებიან აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ საზეიმო სხდომას, რომელიც ეძღვნება აფხაზეთის უნივერსიტეტის დღეებს თბილისში.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ვ. ოკუჯავა და ზ. ანჩაბაძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. კუპრაძე და მწერალი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემიისა და დიმიტრი გულიას სახელობის პრემიის ლაურეატი ი. თარბა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი ნ. მაჭავარიანი და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული და საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე ბ. გურგულია. მათ თქვეს, რომ ახლანდელი შეხვედრა საქართველოს დედაქალაქში კანონზომიერი განგრძობაა იმ სახელოვანი ტრადიციებისა, რომლებიც ქართველი და აფხაზი ხალხების ურღვევ მეგობრობას მოსდგამს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ინტერესების წრეში მუდამ განსაკუთრებული ადგილი ეკავა აფხაზმცოდნეობის პრობლემებს. აფხაზური ენისა და ფოლკლორის, აფხაზი ხალხის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლა მუდამ იყო ერთ-ერთი ძირითადი თემა მუშაობაში, რომელსაც ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები აკადემიკოსები: ივანე ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, ნ. ბერძენიშვილი, პროფესორი ი. ანთელავა.

დღეს ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ადრეფეოდალური ეპოქის შესასწავლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მ. ლორთქიფანიძე, ძალზე საინტერესო გამოდგა ეშერის რაიონში მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა, რომელსაც პროფესორი ო. ჯაფარიძე ხელმძღვანელობს. პროფესორ გ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით ვრცელი არქეოლოგიური მუშაობა დღესაც გრძელდება ბიჭვინთაში.

თბილისის უნივერსიტეტს მუდამ ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტთან, სამი წლის წინათ კი მისმა კოლექტივმა სიხარულით შეიტყო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა. შემდეგ დაიდო ხელშეკრულება ორი უმაღლესი სასწავლებლის მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ, რაც მეგობრობის კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინება იყო. მას შემდეგ ორი უმაღლესი სასწავლებლის კონტაქტები კიდევ უფრო მჭიდრო და მიზანმიმართული გახდა. ვითარდება ნაყოფიერი ურთიერთობა ცალკეულ ფაკულტეტებსა და კათედრებს შორის, დაიწყო აქტუალური სამეცნიერო პრობლემების ერთობლივი დამუშავება. სასარგებლო ტრადიციად დამკვიდრდა მასწავლებელთა გაცვლა, მეცნიერული შრომების ერთობლივი კრებულების მომზადება, მიზნობრივი ასპირანტურები. თბილისის უნივერსიტეტმა უმცროს ძმას გადასცა 10 ათასი ტომი სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის, ლაბორატორიებისა და ლინგაფონური კაბინეტების მოწყობილობა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრიფით უკვე გამოვიდა რამდენიმე წიგნი, რომელთა ავტორები არიან აფხაზი მეცნიერები.

გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლობა კვლავაც მოიტანს შესანიშნავ მეცნიერულ შედეგებს, ხელს შეუწყობს მოძმე ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მზარდი მეგობრობის ნიშნად აფხაზეთის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა თბილისელ კოლეგებს საჩუქრად გადასცეს აფხაზ და ქართველ მხატვართა მიერ შექმნილი სურათი „რიწის ტბა“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ზ. ანჩაბაძეს და ი. თარბას გადაეცათ თბილისის უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო — ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი.

შემდეგ სტუმრებს თავიანთი ხელოვნება უჩვენეს მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ მეგობრობის დღესასწაულს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ა. საყვარელიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ვ. ალექსანდროვი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი დ. ჩხიკვიშვილი. (საქინფორმი).

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო დღეამინის ზურგზე სტოვრება

18 თებერვალი

პოლონეთის ამბები

ვარშავა. ვ. იარუზელსკის თავმჯდომარეობით ვარშავაში გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შეხვედრა პარტიის სავოევოდო კომიტეტის პირველ მდივნებთან და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებთან.

კატოვიცეში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ე. რომანიკის თავმჯდომარეობით მოეწყო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამთო მომპოვებელი მრეწველობის საკითხთა კომისიის სხდომა, რომელზეც განიხილეს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება შახტებში.

სამთო-მომპოვებელ მრეწველობაში შექმნილი ვითარების განხილვის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახალხო მეურნეობის ამ დარგის გადაყვანამ სამხედრო წესებზე და მკაცრი რეჟიმის შემოღებამ, მთლიანად აღადგინა შახტების საწარმოო სიმძლავრეები. უკანასკნელ ხანს მაღაროელთა კოლექტივები ყოველ დღე-ღამეში 625-630 ათას ტონა ქვანახშირს იღებენ.

„ტრიბუნა ლუდუ“ აქვეყნებს პარტიული კონტროლის ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის ე. ურბანსკის სტატიას, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: პარტიის კონსოლიდაციის პროცესის თანმიმდევრულად უნდა მივიღოთ ის პოზიცია, რომ არ დაბრუნდება მდგომარეობა, რომელშიც ქვეყანა იმყოფებოდა გასული წლის 13 დეკემბრამდე. ეს ნიშნავს, რომ არ დაბრუნდება შემწყნარებლური დამოკიდებულება ანარქიისადმი, ანტისოციალისტური ანდა ღიად კონტრრევოლუციური ელემენტების აღვირახსნილობისადმი. არ დაბრუნდება საქმის ისეთი ვითარებაც, რომელიც 1980 წლის აგვისტომდე იყო ანუ ვოლუნტარიზმი, რომელიც იშვა ოპორტუნისტული ტენდენციების, სახელმწიფო მართვის ბიუროკრატიული მეთოდებისა და სოციალისტური ეთიკისა და მორალის ნორმების საფუძველზე.

პარტიის კონსოლიდაციას ხელს უშლის პარტიის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა უარყოფითი დამოკიდებულება სახალხო პოლონეთის მთელი 37 წლის ისტორიისადმი. სამწუხაროდ, ისინი ხვდებიან კეთილგანწყობილ მსმენელებს პარტიის აშკარა კაპიტულანტ წევრთა შორისაც. ნოვატორობას გამოდევნებული ოპორტუნისტები და რევიზიონისტები ცდილობდნენ გამოეცხადებინათ არაიან სოციალიზმის პრინციპებიც კი გააწვრიონ. ისინი ხშირად უგულებელყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპულ დებულებებს და გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, რაც ყოველ ქვეყანაში სპეციფიურია. მათი საქციელი იდეოლოგიური გაურკვევლობით ემუქრება პარტიას და შეიძლება პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას მარქსისტულ-ლენინური ხასიათი შეაცვალონ.

პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას ახლა ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის რევიზიონისტული ცდები, ნაციონალისტური გადახრა. კაპიტულანტური პოზიცია. ამგვარი ტენდენციები პარტიას მოქმედებას უნარს უკარგავს იმ მომენტში, როცა იგი ძალებს იკრებს სოციალისტური კრიზისიდან ქვეყნის გამოსაყვანად.

შეუძლებელია პარტიის რიგების კონსოლიდაცია, თუ იგი არ გაიწმინდა ზედმეტი ადამიანებისაგან, პოლიტიკური ქამელეონებისაგან, იმათგან, ვინც ძნელ წუთებში დაკარგა საკუთარი თავის ნდობა, დაადგა კაპიტულანტურ პოზიციებს, შეეგუა სოციალიზმის მოწინააღმდეგეთ, შეგნებულად არღვევდა დემოკრატიულ ცენტრალიზმს. ამავე დროს მოთმინებით უნდა ჩამოვაშოროთ მათ ისინი, ვინც უბრალოდ ცდებოდა, ვისაც ეშლებოდა პოლიტიკური შეფასება, მაგრამ ამასთან ხელმძღვანელობდა კეთილშობილური მიზნებით ან დამორჩილდა ზეგავლენას ან უბრალოდ დაიბნა ბობოქარი ამბების დროს, აღნიშნავს ე. ურბანსკი.

არმიის გაზეთი „ჟოლნეჟ ვოლნოსტი“ წერს: სამხედრო წესების გამოცხადებამ თავიდან აგვაცილა კატასტროფა და დასაბამი მისცა ნორმალური შრომითი რიტმის, სიმშვიდისა და საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის პროცესს. მაგრამ, როგორც გდანსკში ამას წინათ მომხდარი ამბები და შაბათს პოზნანში დემონსტრაციის მოწყობის ცდა მოწმობს, ჯერ კიდევ არიან ძალები, რომლებსაც სურთ დაარღვიონ ეს პროცესი, უკუღმა დაატრიალონ და შეაფერხონ იგი. ეს ის მტრული ანტისოციალისტური ძალებია, რომლებიც გასული წლის 13 დეკემბრამდე გააფთრებული ცდილობდნენ ხელისუფლების დამხობას, ახლა კი კვლავ აწყობენ არალეგალურ აქციებს, ცდილობენ შექმნან წინააღმდეგობის ფრონტი. ამას ხელი უნდა შეუწყოს მტრული შინაარსის ფურცლებმაც, რომლებიც ხშირად მოუწოდებენ სისხლიანი ანგარიშსწორებისა და ძმათამკვლელი სროლისათვის, ახალი გაფიცვებისათვის, საწარმოო ბოიკოტისათვის.

ყველაზე დიდ შეშფოთებასა და მტკიცე პროტესტს იწვევს საჯარო მანიფესტაციების მოწყობის ცდები, ქუჩაში უწესრიგობის პროვოკაციული გამოწვევა, რასაც შეიძლება მოჰყვეს შეტაკება საზოგადოებრივი წესრიგის ძალებთან და არმიასთან.

თუმცა ეს მოვლენები ეპიზოდურია და ბევრს არ ეხება, წერს გაზეთი, შეცდომა იქნება ვერ შევნიშნოთ, რომ მათი შედეგები ვრცელდება ადამიანთა დიდ კოლექტივებზე, რომლებიც აუცილებლობის გამო კვლავ განიცდიან სამხედრო წესებით შემოღებულ შეზღუდვებს. სწორი არ იქნება, მივიჩნიოთ, რომ მათ შეიძლება გამოიწვიონ რაიმე, გარდა ქვეყანაში არსებული არანორმალური მდგომარეობის გაჭიანურებისა და დეპრესიის გამწვავებისა.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, 16 თებერვალს გაუქმდა სამხედრო წესების რეჟიმის დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც გდანსკში შემოიღეს 30 იანვარს მომხდარი ამბების შემდეგ. კომენდანტის საათი მოქმედებს საღამოს 10 საათიდან დილის 5 საათამდე. აღდგენილია სატელეფონო კავშირი.

● ანგოლა—სენეგალი

დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა

ლუანდა. ანგოლის სახალხო რესპუბლიკამ და სენეგალის რესპუბლიკამ მიიღეს გადაწყვეტილება დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ ელჩების დონეზე.

გავრცელებულ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ანგოლა და სენეგალი ესწრაფვიან მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის დამყარებას ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე, აღნიშნულია დოკუმენტში. მათ განზრახული აქვთ გააქტიურონ ერთობლივი საქმიანობა, რომლის მიზანია სამართლიანი საერთაშორისო ეკონომიკური წყობილების დამყარება, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება.

ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

სოციალისტურ ქვეყნებში

● გდრ

ნავსადგურების მოდერნიზაცია

ბერლინი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნავსადგურებში დამუშავებული ტვირთის მოცულობა 1985 წელს 29 მილიონ ტონას მიაღწევს და თითქმის ერთიორად გადააჭარბებს 1980 წლის დონეს. ამ ამოცანის შესრულებისათვის, რომელიც დასახულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის X ყრილობის დირექტივებში, ძალ-ღონეს არ იშურებენ საზღვაო ტრანსპორტისა და სანავსადგურო მეურნეობის, აგრეთვე ბევრი სამშენებლო ორგანიზაციის მუშაკები. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა მთელი სანავსადგურო მეურნეობის ფართო მოდერნიზაციას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდეს ნავსადგურში — როსტოკში გამალებული სამუშაოებია გაჩაღებული ნავმისადგომიანი ნავსადგურის ახალი აკვატორიის გაწმენდისათვის, სადაც ჩამოდგომა შეეძლებათ 60 ათას ტონამდე ტვირთამწეობის გემებს.

როსტოკის ნავსადგურის რეკონსტრუქციის შედეგად ამაღლდება მისი აგრეთვე როგორც საკონტეინერო ტვირთგადასაცლელი ობიექტის მნიშვნელობა.

● უნგრეთი

მშენებელთა გეგმები

ბუდაპეშტი. „ვაშენოთ სწრაფად, ეფექტიანად, უმცირესი დანახარჯებით“ — ამ დევიზით დაიწყეს ხუთწლედის მეორე წელი უნგრელმა მშენებლებმა.

მიმდინარე ხუთწლედის გეგმა ითვალისწინებს, რომ სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს თითქმის 40 პროცენტით. ეს მოითხოვს წარმოების მოდერნიზაციას, რაციონალიზატორულ წინადადებათა ფართო გამოყენებას.

მოსალოდნელია, რომ ხუთწლედის მანძილზე სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია 50 პროცენტით გაიზრდება, მარტო მიმდინარე წელს სამშენებლო ინდუსტრიაში რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა უნდა შეადგინოს დაახლოებით 300 მილიონი ფორინტი.

● მონღოლეთი

ახალი სანატორიუმი

ულან-ბატორი, რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ სახალხო მონღოლეთის უდიდესი პროფკავშირული ჯანმრთელობის კერა გახდება სანატორიუმი „ორგილი“, რომელიც ულან-ბატორის სამხრეთ განაპირა რაიონში მდებარეობს.

აქ მინერალურ წყაროსთან, რომლის წყალი თავისი ფიზიკურ-ქიმიური შედგენილობით უახლოვდება კისლოვოდსკის ცნობილ წყლებს, აგებულია თანამედროვე კორპუსი დამსვენებლებისათვის. მან პირველი მიიღო მონღოლეთის ინდუსტრიის პირმშოს — ულან-ბატორის სამრეწველო კომბინატის მუშები. ახალი სამკურნალო-დიაგნოსტიკური კაბინეტების, ტალახისა და წყლის სამკურნალოების გახსნის შემდეგ სანატორიუმით ისარგებლებენ მთელი ქვეყნის მშრომელები.

ახალი პროფკავშირული სანატორიუმი აგებულია ეგიინის თვალწარმტაც ნაპირას, ჰუბსუგულის აიმაკში. ყოველწლიურად აქ შვებულებას გაატარებს ტრანსპორტისა და მომსახურების სფეროს ათასობით მშრომელი. მათს განკარგულებაშია თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი კაბინეტები, სპორტული მოედნები, სათამაშო ოთახები.

სსრ კავშირი რიგით ამერიკელთა თვალით

სასარგებლო ვიზიტი

ვაშინგტონი. „ეს იყო შესანიშნავი და ფრიად სასარგებლო ვიზიტი, რომლის დროსაც საბჭოთა ადამიანები ყველგან გულთბილად, ხელგაშლილად და გულღიად გვხვდებოდნენ“, — განაცხადა საქდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ამერიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ფრენდშიპ ფორსის“ პრეზიდენტმა უ. სმიტმა, რომელიც მეთაურობდა ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრიობის საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ დელეგაციას. სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ასამდე ამერიკელი, რომლებიც ქვეყნის 15 შტატის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლები იყვნენ, რვა დღის მანძილზე ეწვივნენ მოსკოვს, ლენინგრადს და კიევს, სადაც შეხვდნენ ქალაქის ხელისუფალთა წარმომადგენლებს, მონაწილეობდნენ „მრგვალ მაგიდასთან“ დისკუსიებში, დაათვალიერეს საწარმოები და სასწავლებლები, აგრეთვე საბჭოთა მოქალაქეების ბინები.

— სსრ კავშირში მოგზაურობა იყო პირველი ვიზიტი სოციალისტურ ქვეყანაში, რომელიც მოაწყო „ფრენდშიპ ფორსმა“. იგი განაგებს მეგობრობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების მიზნით ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეთა შორის კონტაქტების დამყარებას.

დელეგაციის ყველა წევრს, თქვა უ. სმიტმა, მოგზაურობიდან შესანიშნავი შთაბეჭდილებანი დარჩა. თვალნათლივ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ადამიანები აქტიურად ესწრაფვიან მშვიდობას, სურთ მეგობრულად იცხოვრონ ამერიკელ ხალხთან. ამას უთუოდ ვუამბობთ ყველას აქ, შეერთებულ შტატებში. ვისაც კი ვესაუბრე სსრ კავშირში, ვიგრძენი გულწრფელი შეშფოთება მსოფლიოში ახლანდელი დაძაბულობის გამო და მივხვდი, რომ საბჭოთა ადამიანებს სურთ თავიდან იქნეს აცილებული ახალი ომის საფრთხე, განვითარდეს ურთიერთგაგება და თანამშრომლობა.

ჩვენ, თქვა „ფრენდშიპ ფორსის“ პრეზიდენტმა, უაღრესად მადლობელი ვართ საბჭოთა მთავრობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რომლებმაც ყოველნაირად შეგვიწყვეს ხელი საბჭოთა მოქალაქეებთან შეხვედრების საქმეში. ასეთი ვიზიტები ფრიად სასარგებლოა. კარგი კონტაქტები დავამყარეთ და იმედი გვაქვს, რომ განვაგრძობთ თანამშრომლობას, თქვა დასასრულ უ. სმიტმა.

● იუგოსლავია

კოსოვოს ინციდენტის გამო

ბელგრადი. როგორც გაზეთი „პოლიტიკა“ იუწყება, კოსოვოს ავტონომიურ მხარეში მოხდა ახალი არეულობანი, რომლებშიც ასობით სტუდენტი მონაწილეობდა. მათ შეუერთდნენ სხვა ჯგუფებიც. ქ. პრიშტინაში სიმშვიდე აღადგინეს, იუწყება გაზეთი, მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომელთა ჩარევის შემდეგ.

როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, პრიშტინაში მომხდარი ახალი ინციდენტის გამო გაიმართა კომუნისტთა კავშირის სათემო კომიტეტისა და მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის კოსოვოს სათემო კონფერენციის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა. მიღებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ შარშანდელი მტრული დემონსტრაციების შემდეგ არ მომხდარა ამგვარი გამოსვლები, რომლებმაც საფრთხე შეუქმნა საზოგადოებრივ წესრიგსა და სიმშვიდეს.

გაასამართლეს ჯაშუში

ბერლინი. სამხედრო სასამართლომ ბერლინში 15 წლის პატიმრობა მიუსაჯა დასავლეთბერლინელ კარლ რეხენბერგს. როგორც ადნის სააგენტო იუწყება, იგი გაასამართლეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მრავალი წლის ჯაშუშური და ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საიდუმლო სამსახურების დავალებით ეწეოდა. საბრალდებო დასკვნის მასალებით მთლიანად დადასტურდა, რომ კ. რეხენბერგი 1969 წლიდან დასავლეთ ბერლინში შექმნილი დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი საიდუმლო სამსახურის ფილიალის აგენტი იყო. თავისი ამოცანის შესასრულებლად მან სპეციალური მომზადება გაიარა.

● ლიბანი

თელ-ავივი ამზადებს აგრესიას

ბეირუთი. პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელობის ცნობებით, თელ-ავივის მმართველი წრეები ამთავრებენ ჯარებისა და ტექნიკის კონცენტრაციას და ემზადებიან ახალი აგრესია მოაწყონ ლიბანელი და პალესტინელი ხალხების წინააღმდეგ.

ლიბანის საზღვართან თავმოყრილია ისრაელის სამი დივიზია, სასაზღვრო ზონაში, რომელსაც სამხრეთლიბანელი სეპარატისტები აკონტროლებენ, შეყვანილია მექანიზებული ბრიგადა. გამოცხადებულია, რომ ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში დაიწყო სამოქალაქო თავდაცვის ჯარების წვრთნა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პოლიციის ძალები, მკვეთრად გახშირდა ისრაელის თვითმფრინავებისა და ვერტმფრინავების ფრენა ლიბანის სამხრეთ რაიონებში და ბეირუთში. ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები ყოველდღე იჭრებიან ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში და დაცურავენ ლიბანის რესპუბლიკის სანაპიროს გასწვრივ.

ი. არაფატის თავმჯდომარეობით გაიმართა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობისა და ლიბანის ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებული შტაბის სხდომა, რომლის დროსაც მიიღეს გადაწყვეტილებანი კიდევ უფრო გაზარდონ საბრძოლო მზადყოფნა, დისციპლინა და ორგანიზებულობა ისრაელის ჯარებისა და სეპარატისტების მომავალი აგრესიის წარმატებით მოსაგერიებლად.

ლიბანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, ქვეყნის პროგრესული მოღვაწენი გამოთქვამენ შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ დასახულია რეგიონში მოეწყოს ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის ფ. ჰაბიბის მორიგი ვიზიტი. პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკელი ემისრის „მაქოსებრი დიპლომატიის“ ყოველ წინა რაუნდს თან ახლდა არაბების წინააღმდეგ თელ-ავივის უხეში პროვოკაციული გამოხდომები.

მხატვრის კომენტარი

ვაშინგტონი არათუ ყოველნაირად ქომაგობს და იცავს თავის „სტრატეგიულ მოკავშირეს“, არამედ ფაქტობრივად აქეზებს კიდეც თელ-ავივს აგრესიისა და ექსპანსიის ახალი აქტების ჩასადენად. (გაზეთებიდან).



„ხელშეუხებლობის“ იმუნიტეტი.

ვ. ლომიძის ნახატი.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

შეხვედრა დამთავრდა

პრაღა. დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების ბულგარეთის ვიეტნამის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, უნგრეთის და ჩეხოსლოვაკიის საპარლამენტო ჯგუფების ხელმძღვანელთა მორიგი საკონსულტაციო შეხვედრა.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი 68-ე საპარლამენტთაშორისო კონფერენციის შედეგების შესახებ, რომელიც გაიმართა 1981 წლის სექტემბერში ჰავანაში. მათ განიხილეს საპარლამენტთაშორისო კავშირის ორგანოების სხდომებისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც გაზაფხულზე გაიმართება ლაგოსში.

საომარი სამზადისი

დელი. „ჩინეთი ფართო საომარ სამზადისს ახორციელებს ტიბეტში. ჩინელები აშენებენ აეროდრომებსა და რადარულ დანადგარებს, აგრეთვე ქმნიან სარაკეტო ბაზას ლხასას რაიონში. აქედან მიზანში ექნებათ ამოღებული ინდოეთის, აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბევრი ქალაქი“, — იუწყება ინდოეთის მთავრობასთან ახლოს მდგომი გაზეთი „ნეშლ ჰერალდი“.

ინდოეთის უშუალო სიახლოვეს მდებარე ტიბეტის ავტონომიური რაიონის თითქმის მთელი ტერიტორია ახლა სამხედრო პლაცდარმად არის გადაქცეული.

უხეში შანტაჟი

მანილა. შეერთებულმა შტატებმა კვლავ მიმართა ფილიპინების მიმართ უხეშ შანტაჟსა და მუქარას. როგორც საქმიან წრეთა ორგანო გაზეთი „ბიზნეს დეი“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების მანილის საელჩომ ფილიპინების საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა წერილი, რომელშიც კატეგორიულად მოითხოვს გადასინჯონ ქვეყნის მთავრობის ამასწინანდელი გადაწყვეტილებანი ეროვნული ნაოსნობის განვითარების მიზნით რომ მიიღეს. ფილიპინებისაგან ფაქტობრივად მოითხოვენ, რომ მისი საექსპორტო-საიმპორტო ტვირთზიდვა ხორციელდებოდეს ამერიკის სავაჭრო გემებით.

ზ. მ. კაკაბაძე

ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — 55 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ესთეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ მეთოდეს ძე კაკაბაძე.

ზ. კაკაბაძე საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1958 წლიდან მუშაობდა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1967 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ერთი წლის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტის ესთეტიკის განყოფილებას, პარალელურად განაგრძობდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ზურაბ კაკაბაძე იყო ფართო დიაპაზონის მეცნიერი. თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით მან წვლილი შეიტანა მარქსისტული ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების კვლევაში, დასახა ცალკეულ საკითხთა კვლევის ახალი მიმართულებები. საბჭოთა ფილოსოფოსებს შორის მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ადამიანის ფილოსოფიური პრობლემის გამოკვლევა და ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვან შედეგებსაც მიაღწია.

დიდია მისი წვლილი თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკაში, ესთეტიკის პრობლემებისა და ხელოვნების ფენომენის შესწავლაში.

ზ. კაკაბაძე ეკუთვნოდა იმ მეცნიერთა რიცხვს, რომლებიც განსაკუთრებული სიცხადით გვიჩვენებდნენ ცხოვრებასთან, საზოგადოების საჭირბოროტო მოთხოვნებთან და კულტურის განვითარებასთან ფილოსოფიის ორგანული კავშირის აუცილებლობას. ამას ადასტურებს მისი ღრმა ფილოსოფიური ესეები, მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით განმსჭვალული პუბლიცისტიკა.

ნაყოფიერმა მეცნიერულმა მოღვაწეობამ პროფესორ ზ. კაკაბაძეს დამსახურებულად მოუტანა მსოფლიო აღიარება. მისი გამოკვლევები თარგმნილია გერმანულ, იაპონურ, უნგრულ და პოლონურ ენებზე. იგი არჩეული იყო ჰუსერლის საერთაშორისო ფილოსოფიური საზოგადოების ხელმძღვანელი კომიტეტის წევრად, ღირსეულად წარმოადგენდა საბჭოთა ფილოსოფიურ სკოლას საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე.

შესანიშნავი პედაგოგი, ცხოვრებასა და ადამიანებთან ურთიერთობაში, თავმდაბალი, უპრეტენზიო, უაღრესად უკომპრომისო და პრინციპული იყო თავისი მოქალაქეობრივი და პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს, არ იფარგლებოდა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით, აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

პროფესორ ზურაბ კაკაბაძეს მრავალი შემოქმედებითი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, მაგრამ ისიც, რისი გაკეთებაც მოასწრო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისათვის ასეთი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, წარუშლელ კვალს ტოვებს ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ე. ა. შევარდნაძე, ბ. ნ. ენუქიძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ე. კ. ხარაძე, დ. ი. ჩხიკვიშვილი, ა. ბ. საყვარელიძე, ჯ. კ. შარტავა, ნ. შ. ჯანბერიძე, ვ. მ. ოკუჯავა, ნ. გ. დუმბაძე, ნ. ვ. ზურაბიძე, ა. ს. ფრანგიშვილი, გ. ნ. ჯიბლაძე, ა. თ. გოგორიშვილი, ვ. ვ. კეშელავა, ნ. ზ. ჭავჭავაძე, ს. მ. ჯორბენაძე, გ. გ. თევზაძე, ო. დ. ბაბიკაშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ფილოსოფოსთა საზოგადოება და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი მწუხარებით იუწყებიან, რომ 55 წლისა გარდაიცვალა ფილოსოფიის ინსტიტუტის ესთეტიკის განყოფილების ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

ზურაბ მეთოდეს ძე კაკაბაძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ისინი არ ბერდებიან

ომის ვეტერანთა თბილისის სექციის საანგარიშო კრებაზე

დიდი სამამულო ომის სამასამდე მონაწილე მუშაობს თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, მათ შორის ასზე მეტი კომუნისტური შრომის დამკვრელია. მშვიდობიან შრომაში საბრძოლო დიდების გამრავლების ეს მაგალითი სიამაყით მოიყვანეს საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის საანგარიშო კრებაზე.

გაჭაღარავდნენ, მაგრამ არ დაბერებულან ვეტერანები. ამის მკაფიო დასტურია ფაქტები, რომლებიც მოყვანილი იყო სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტის, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ჯანჯღავას მოხსენებასა და კრების მონაწილეთა გამოსვლებში.

ვეტერანები დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან, კითხულობენ ლექციებს, მოხსენებებს, გამოდიან მოგონებებით საწარმოებში, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სამხედრო ნაწილებში, მონაწილეობენ რადიო და ტელეგადაცემებში, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების ისტორიული თარიღებისადმი. ისინი წითელ კვალმაძიებლებთან ერთად ეძებენ ჯარისკაცებისა და ოფიცრების დაკარგულ საფლავებს, აწყობენ ლაშქრობებს თავიანთი შენაერთების ბრძოლების ადგილებში.

სექციის სპეციალური კომისია კონტროლს უწევს, თუ როგორ სრულდება მთავრობის დადგენილება სამედიცინო დაწესებულებების, საყოფაცხოვრებო სამსახურის, ტრანსპორტის მიერ ომის მონაწილეთა მომსახურების შესახებ.

წლითიწლობით მტკიცდება ვეტერანთა ინტერნაციონალური კავშირურთიერთობა.

მთელი ეს დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა ჯეროვნად დააფასა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტმა. სპეციალური მედლებით დაჯილდოებულია თბილისში მოქმედი 551-ე მსროლელი და პირველი გვარდიული, წითელდროშოვანი 414-ე ანაპის ქართული მსროლელი დივიზიის თანაპოლკელთა საბჭოები. კომიტეტის ვიმპელები გადაეცა თბილისის რამდენიმე სკოლას, საპატიო სიგელები — სხვადასხვა სამხედრო შენაერთის ვეტერანთა საბჭოებსა და ბიუროებს.

იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების, დასავლეთის ქვეყნების იმპერიალისტური წრეების მიერ სამხედრო ისტერიის გაჩაღების პირობებში, აღნიშნავდნენ კრების მონაწილენი, განუზომლად იზრდება ომის ვეტერანთა საზოგადოებრივი მუშაობის მნიშვნელობა. ისინი ხომ რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ცოცხალი მატარებლები არიან და შეუძლიათ ქმედითად დაეხმარონ ახალგაზრდებს, რათა მათ გაიაზრონ უფრო თაობათა გამოცდილება, ის პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრებათ სოციალისტური სამშობლოს ბედისათვის.

თბილისელ ვეტერანთა კრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა ჩვენი ქვეყნის დიდი სამამულო ომის ყველა ვეტერანისადმი, რომელშიც მოუწოდებენ მათ კიდევ უფრო აქტიურად იმუშაონ ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის.

(საქინფორმი).

სიკვდილის შემდეგ გასაგზავნი ბარათები

ხუთი წლის წინათ „კომუნისტში“ დაბეჭდილი იყო ჩემი ერთი წერილი „თუ ყრმა ნახო ავად ზრდილი“. შეეხებოდა იგი ოჯახის როლს მომავალი თაობის აღზრდაში, და გაკიცხულნი იყვნენ მშობლები, რომელთა მიზეზით — უყურადღებობითა და უპატრონობით შვილები დანაშაულის გზას დაადგნენ.

ახლა რომ ვუკვირდები, იმ წერილს ასეთი თემისათვის საჭირო სიღრმე, დახვეწილობა და სინატიფე აკლდა. ზოგი ადგილი მალაღფარდოვნად და მოუხეშავადაც კი მეჩვენება.

და მაინც მისი მთავარი ნაკლი ეს არ ყოფილა. როგორც შემდეგ გამოირკვა, მთავარი ის იყო, რომ ჩემდა სამწუხაროდ, მეტად ულმობელი და უსამართლო ვიყავი ერთი ადამიანისადმი, რომელზეც გადატანილი იყო კრიტიკის მახვილი და ძრახვა-განქიქების მთელი სიმძიმე.

და აი, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, და ეს შეცდომა დღემდე მოუნელებელ სინანულად ჩამრჩა გულში და ყოველთვის გამახსენებს, თუ რამდენი სიფრთხილე და დაკვირვება მართებს ჟურნალისტს, კალამს რომ აიღებს ხელში, მით უმეტეს, თუ ვინმეზე ძვირისა და ავის თქმას აპირებს.

შეცდომა შეცდომაა, და ერთი დიდი ნაკლიც გვაქვს ჟურნალისტებს: დავწერთ და, ვაქებთ თუ ვაძაგებთ, მერე იშვიათად დავინტერესდებით ხოლმე ჩვენი გმირების ბედით.

ამჯერად თვით გარემოებამ მიკარნახა დავინტერესებულიყავი იმ ადამიანების ბედით, რომლებზეც დავწერე.

წერილის გამოქვეყნების მეორე დღესვე ჩემთან რედაქციაში მოვიდა ერთი მაღალი, შუახნის ქალი, პირისპირ დამიჯდა მაგიდასთან და მეკითხება:

— მიცნობთ, ბატონო, მე თქვენ?

ამ მოულოდნელმა შეკითხვამ, ქალის ნაღვლიანმა შემოხედვამ, პოზამ, ლაპარაკის ტონმა, უზომო დარდსა და მწუხარებას რომ გამოხატავდა, დამაბნია და, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულმა ვუპასუხე:

— არა, რაღაც არ მახსენდებით.

— გაზეთში კი ისე წერთ, თითქოს ჩემი გული და მთელი ჩემი ცხოვრება ხელისგულზე გქონდეთ გადაშლილი.

უცებ გონს ვერ მოვედი, ვერ მივხვდი, ვინ იყო და რა უნდოდა ჩემგან.

— მე, მერაბ მაისურაძის დედა ვარ.

— აახ... — უნებურად აღმომხდა და გავშრი. მართლაც, საჯაროდ გავკიცხე მთელი მისი ოჯახი, მას კი პირადად ერთხელაც არ შევხვედრივარ, არ დავლაპარაკებივარ, ისღა ვიცოდი, რომ პროფესიით პედაგოგი იყო, ინგლისური ენის მასწავლებელი, მისი ვაჟიშვილი კი უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, გასამართლებული იყო და 7 წელი ჰქონდა მისჯილი ქალიშვილის მოტაცებისა და გაუპატიურებისათვის.

ეს იყო და ეს, რაც დედა-შვილის შესახებ ვიცოდი, რაც სავსებით საკმარისად მივიჩნიე მკაცრად მემსჯელა ცალკე პედაგოგის, ცალკე მშობლის ტვირთსა და პასუხისმგებლობაზე — სხვების აღმზრდელს საკუთარი შვილი ვერ აღუზრდია-მეთქი.

და ახლა, როცა ის ჩემ წინაშე იჯდა მწუხარებისაგან განადგურებული და მაინც ასეთი სანდომიანი, მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი: ასეთი ქალი გაზეთში გამოსაჭენებლად არ უნდა გამემეტებინა და საერთოდაც საქმე მთლად ისე არ უნდა ყოფილიყო, როგორც მე ვხატავდი.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ის პასუხს ელოდა ჩემგან, მე კი არაფერი მქონდა სათქმელი. რა მეთქვა, რა მეპასუხა?

— სასამართლო პროცესს მაინც თუ ესწრებოდით?

— როგორ არა, ყოველდღე დავდიოდი პროცესზე! — წამოვიძახე იმით გახარებულმა, რომ ამჯერად მაინც ვერ გამაწბილა.

— რატომ მოდიოდით იქ, რისთვის იწუხებდით თავს, თუ უნარი არ შეგწევდათ დაგენახათ მრუდი და მართალი, თუ მერე მაინც დაჯდებოდით და განაჩენს გადმოიწერდით?!

ჟურნალისტისათვის ეს ისეთი ბრალდებაა, თუ სინდისი აქვს, მაშინვე უნდა გააგდოს ხელიდან კალამი, ან არადა, დაუყოვნებლივ გაუსწორდეს ბრალმდებელს ცილისწამებისათვის.

მე კი სიტყვის შებრუნებასაც ვერ ვუბედავდი ამ ქალს.

[illegible]

ამ ქალის გულწრფელობაში კი ძნელი იყო ეჭვის შეტანა. იმდენი კეთილშობილება მოსჩვეოდა მის ყოველ მოძრაობაში, იმდენი სათნოება იყო მის ნაღვლიან თვალებში, ვერ დაიჯერებდით, რომ მისი კალთის ქვეშ გაზრდილი ადამიანი ბოროტმოქმედი გამხდარიყო.

მაგრამ მეც, როგორც ჟურნალისტს და წერილის ავტორს, ჩემი

პოზიცია და არგუმენტები მქონდა და ემოციებს ვერ ავყვებოდი. მართლა მარტო სასამართლოს განაჩენს კი არ დავყრდნობივარ, საქმეშიც კარგად ვიყავი ჩახედული და ვიცოდი, რომ ამ ქალის ვაჟიშვილი თავადვე აღიარებდა დანაშაულს წინასწარი გამოძიების დროსაც და შემდეგაც, სასამართლო პროცესზე.

მაშ რატომ იყო დედა დარწმუნებული თავის შვილის უდანაშაულობაში ასე მტკიცედ და ურყევად?

უბრალო ცნობისმოყვარეობა კი არა, ავტორის, პროფესიული მოვალეობა მაიძულებდა სარწმუნო პასუხი მქონოდა ამ კითხვაზე და ახლა მაინც გამეგო ის, რაც ადრე, სტატიის დაწერამდე უნდა მცოდნოდა და გამეთვალისწინებინა. ამიტომ დაძაბული ყურადღებით ველოდი, რას მეტყოდა ეს ქალი თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად.

— წაიკითხეთ, — მითხრა მან და მაგიდაზე ოთხად გაკეცილი რვეულის ფურცელი დამიდო — იმ ქალიშვილის ბარათია, დაზარალებულის.

„ძვირფასო ნატო!

აქამდე ვერასგზით ვერ მოგაწვდინეთ ხმა. ორ თვეზე მეტია პატიმარივით ვარ ჩაკეტილი შინ და გარეთ არ მახედებენ. ავადმყოფობა მომიგონეს, უნივერსიტეტში აკადემიური შვებულება ამიღეს და ჩემი ამხანაგების ნახვის ნებასაც არ მაძლევენ.

თავის მართლებას არ დავიწყებ, ჩემი ბრალია ყველაფერი, მე დავღუპე მერაბი ჩემი სისუსტით და უნიათობით. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ მინდა სიმართლე იცოდეთ. თქვენ ხომ იცით, როგორ გვიყვარდა მე და მერაბს ერთმანეთი, ჩემმა მშობლებმა რომ გაიგეს, განაწყენდნენ, გამიწყრნენ და მერაბთან სიარული ამიკრძალეს. სამაგიეროდ ადრევე სასიძოდ შეგულებული ახალი საქმრო მომგვარეს, ფულიანი და გავლენიანი კაცის შვილი. ამიტომაც გავიპარეთ სახლიდან მე და მერაბი და

ცოლ-ქმარი გავხდით. მერე რაც მოხდა, თქვენც კარგად იცით. მესამე დღეს მამაჩემი და სასიძოდ შეგულებული ის ბიჭი ორი მილიციონერის თანხლებით თავს დაგვესხნენ როგორც ავაზაკებს და წამოგვიყვანეს... მერე არ ვიცი, ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს, პროკურატურაში როგორ მოხვდა საჩივარი ჩემი ხელმოწერით. გამომძიებელთან, დაპირისპირების დროს პირველად სწორედ ეს მკითხა მერაბმა, შენი ხელმოწერილიაო ეს საჩივარი, მე ტირილი მომერია და მერე მთელი დაკითხვის განმავლობაში მხოლოდ ვტიროდი, თავი არ ამიწევია... სასამართლოზე, თქვენც იცით, ავადმყოფობა მოიმიზეზეს და მე არ გამომიყვანეს, ადვოკატს მიანდეს ყველაფერი.

დეიდა ნატო, პატიებას არ გთხოვთ. არც თქვენ, არც მერაბს, ვიცი ამის პატიება არ შეიძლება, მე მარტო ის მინდა გითხრათ და დაგიმტკიცოთ, რომ არც ისე დაცემულვარ, რომ ჩემი მშობლების ფეხთა მტვრად ვიქცე, სიცოცხლედ რომ დამიჯდეს, მე გავათავისუფლებ მერაბს პატიმრობიდან და, თუ ის კიდევ მოისურვებს ამას, მისი მეუღლე გავხდები“.

— როდის მიიღეთ ეს ბარათი?

— იმის შემდეგ, რაც განაჩენი ძალაში შევიდა.

— მერე რა იღონეთ? პროკურატურაში უნდა შეგეტანათ საჩივარი ზედამხედველობის წესით.

— ვიცი, მაგრამ არ შემიტანია. აზრი არ ჰქონდა. ჩემს ვაჟიშვილსაც მივწერე, იმანაც დამიშალა: ყველაფერი სიცრუე და ფარისევლობააო. ეს სინდისის ქენჯნით შეწუხებული, სინანულში ჩავარდნილი ადამიანის ცრემლებია, რომელსაც მალე შეიშრობსო. მართლა რომ ვყვარებოდი, სიკვდილის პირზეც რომ მიეყვანათ, იმ საჩივარს ხელს არ მოაწერდაო. ახლა ვინმე დაუჯერებს და. რომც დაუჯერონ, მაშინ თვითონ ის უნდა მისცენ პასუხისგებაში ცილისწამებისათვის. ვისღა სჭირდება ეს? ისა ჯობს, მოვიხადო სასჯელი, ღირსიც ვარ, ამით ნამუსს მაინც მოვწმენდო მას მშობლებისა და

[illegible]

ყველა ინსტანცია მოვიარე. არაფერი გამომივიდა, ან რა გამომივიდოდა, როცა დანაშაულიც აღიარებული იყო და დაზარალებულიც ადასტურებდა ამას.

ორი წელი ისე გავიდა, დედაშვილის არაფერი გამიგია.

ერთ დღეს ვილაც მოხუცი კაცი მოვიდა ჩემთან რედაქციაში და, ცალკე მინდა გელაპარაკოთო, მეუბნება. მარტო რომ დავრჩით,

ახლოს დამიჯდა და საიდუმლოსავით მითხრა:

— იცით, ნატო მაისურაძე გარდაიცვალა.

— ვინ ნატო?

— მერაბ მაისურაძის დედა, აი ისა, თქვენ რომ გაზეთში გაწერეთ.

— რას მეუბნებით! როდის?

— შაბათს დავასაფლავეთ.

— შვილი ხომ არ გამოსულა ციხიდან?

— ჯერ სად არის! კიდევ ოთხი წელი უკლია. მე მისი კარის მეზობელი ვარ. ერთი კედელი გვყოფდა... მოკვდა საცოდავი, შვილის დარდს გადაჰყვა. თქვენ გაზეთში რომ გამოწერეთ, მერე სკოლაში აღარც შესულა, სადღაც სხვაგან დაიწყო მუშაობა. ეს ერთადერთი შვილი ჰყავდა. ობლობაში გამოზარდა, ქმარი ადრე გარდაეცვალა, ავტოკატასტროფაში მოჰყვა, გეოლოგი იყო. ეს ერთი ბიჭიღა დარჩა, წესიერი, ზრდილი, ნიჭიერი ყმაწვილი იყო, ციხეს მაინც ვერ ააცდინა, გადაჰყვა კიდეც მაგის დარდს. ეს ერთი წელია ძალიან ავადმყოფობდა. წნევა, გული, რა ვიცი... მოტყდა. დაბერდა. არადა, არ უნდოდა სიკვდილი. შვილს ვჭირდებიო, იმის ჩამოსვლამდე უნდა გავძლოო. ჩემს მეტი არავინ გააჩნიაო, გული სწყდებოდა, ამხანაგებმაც კი დაივიწყესო, ყველას ბოროტმოქმედი ჰგონიაო... ეძალებოდა სიცოცხლეს, თავს იმხნევებდა და იყოჩაღებდა, მაგრამ, ეტყობა, სიკვდილს ელოდა მაინც და ეს ბარათები დაუწერია სიკვდილის წინ, შვილისადმი გასაგზავნი ბარათები, სიკვდილის შემდეგ გასაგზავნი.

— როგორ თუ სიკვდილის შემდეგ გასაგზავნი?

— მომითმინეთ, ახლავე აგიხსნით, ბატონო. დაწერა და მე დამიტოვა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ გამეგზავნა შვილისათვის საპატიმროში. არ მინდა გაიგოს, რომ ცოცხალი აღარა ვარო, ცოდვააო, ჩემს მეტი აღარავინ ჰყავსო. ადამიანი ხომ ადამიანის სი-

ყვარულითაა — იმით, რომ გიყვარს და იცი, რომ უყვარხარ. მას კი ჩემს შემდეგ აღარავინ დარჩაო, არც საყვარელი, არც მოყვარული. ვაითუ, გული გაუტყდეს. ცხოვრებაზე ხელი ჩაიქნიოს და ვერც დაბრუნდესო პატიმრობიდან.

უცებ ვერც კი გავიაზრე, რა მითხრა მოხუცმა. ის, რაც მან თქვა, გულსა და გონების ჩარჩოებში, აზრის სამოსელში არ ეტეოდა: თავად შვილების პატრონი ვარ და წინათ არასოდეს მიფიქრია, რომ დედას სიკვდილის შემდეგ, მკვდარსაც შეეძლო შვილის სიყვარული. მშობლები შვილებს უტოვებენ ყველაფერს — სისხლსა და გენს, ფუძეს და კერას, სახლსა და კარს, მაგრამ არასოდეს ფიქრად არ მომსვლია, რომ შეეძლოთ სიყვარულიც დაუტოვონ, სიყვარულის ხსოვნა კი არა, თვით სიყვარული, სიყვარულით სავსე გული, თბილი და მარად მფეთქავი.

— ამაღელვებელი ამბავია, არა? — მომიბრუნდა მოხუცი დიდი ხნის დუმილის შემდეგ, — თქვენ ჯერ ეს წერილები არ წაგიკითხავთ, ამ ხნის კაცი ვარ და რომ ვკითხულობდი, ბავშვივით ვტიროდი, სულ 38 ბარათია, 37 საპატიმროში გასაგზავნი და ერთიც შინ დასახვედრებელი. ისიც კი დამიბარა, როგორი თანამიმდევრობით და როდის უნდა გავუგზავნო... ბინაზე წუხდა. ჩემი სიკვდილის შემდეგ ამ ერთ ოთახსაც ქალაქის საბჭო ჩაიბარებს, პატიმარს არ შეუნახავენო. დავპირდი ამაზე მე ვიზრუნებ-მეთქი, ეს ოთახი ჩვენი ბინის მომიჯნავეა, კანონით ჩვენს ოჯახს ეკუთვნის, ჩემს სახელზე გავაფორმებ და შევუნახავ-მეთქი პატიმარს... თქვენთან თვითონ მისი სურვილით მოვედი. იცოდა, თქვენ მისი შვილი კოლონიაში რომ ინახულეთ და გთხოვათ, იქნებ კიდევ ინახულოთო, გაიგოთ, ხომ არაფერი იაზრა დედა ცოცხალი რომ არა ჰყავსო... გეტყობათ, წერილების წაკითხვა გაინტერესებთ. დაგიტოვებთ და წაიკითხეთ, მხოლოდ ერთს წავიღებ, პირველს, უკვე გაგზავნის დროა...

[illegible]

გაგზავნილს და მეორეს უკანასკნელს, ანდერძივით დანაბარებს.

„მერაბ, შვილო!

დღეს შენი დაბადების დღეა. მოგილოცავ, დედიკო! უკვე ოცდაოთხი წლის ვაჟკაცი მყავხარ. მეორედ ვიხდი შენი დაბადების დღეს უშენოდ, ცოტა მოწყენილი კი ვარ, მაგრამ რა ვქნა, აი ჩამოხვალ და მერე სულ ერთად ვიქნებით.

დილით ადრე გამეღვიძა. როგორც ყოველთვის მეღვიძება ხოლმე შენი დაბადების დღეს, არ ვიცი, ეს როგორ ხდება, სწორედ იმ დროს გავახელ თვალს, რა დროსაც შენ დაიბადე და გულთან ისეთივე შვების მომგვრელ სითბოს ვგრძნობ, როგორც იმ წუთს ვიგრძენი, როცა შენ პირველად ძუძუს მოსაწოვებლად მოგიყვანეს ჩემთან.

დღეს პირველად შენი დაბადების დღე ჩიტებმა მომილოცეს, ჯერ მზე ამოსულიც არ იყო, ჩვენს ფანჯარასთან რომ მოფრინდნენ და ჟივჟივი ატეხეს. „ოქროს ნისკარტი, ოქროს ნისკარტი-მეთქი“, ვუთხარი და საკენკი დავუყარე. აკენკეს და გახარებული გაფრინდნენ. იქნებ შენთან გამოფრინდნენ, დედიკო, დედის მოკითხვის და დედის ლოცვის გადმოსაცემად.

სადამოს შენი ამხანაგები მეწვივნენ. თითქმის უკლებლივ მოვიდნენ ყველანი: ნანა, ნუგზარი, ზაზა, ავთო, ხათუნა, ნათია, ლევანი, აჩიკო, მანანა, ოსო. ყველამ საჩუქრები მოგიტანა, მე კი ჩემებური „სამეფო“ ტორტი გამოვაცხვე და „გენერალსკი“ ჩაით გავუმასპინძლდი.

შენ კი როგორ გაატარე, შვილო, შენი დაბადების დღე, ალბათ, არც გაგიმხელია, ხომ?

მე ახლა უკეთა ვარ, მგონი მიბრუნდება ფეხი. შენს სანახავად ჯერ ვერ შევძლებ წამოსვლას, მაგრამ ლოგინიდან წამოდგომა კი შემიძლია და ცოტა-ცოტა საოჯახო საქმის კეთებაც“.

ვკითხულობდი ბარათს და გული სევდითა და ნაღველით მევსებოდა იმის გაფიქრებაზე, რომ არ ყოფილა არც ჩიტები, არც დაბადების დღის მოსალოცავად საჩუქრებით მოსული ამხანაგები, არც „სამეფო“ ტორტი და იმ დროს, როცა ამ ბარათს წაიკითხავდა შვილი, თვითონ დედაც არ იქნებოდა ცოცხალი...

არასოდეს, არავის ასე ლამაზად არ უცრუნია! არასოდეს ასე ნათელი და ხელშესახები არ ყოფილა სილამაზე და სიბრძნე სიცრუისა!

აი ზოგიერთი ადგილი უკანასკნელი წერილიდანაც.

„მერაბ, შვილო!

არ ვიცი, შევძლები თუ არა შენი მოტყუება. შენ ჩემგან ტყუილს არ ელოდი და, იმედი მაქვს, ამით უფრო მოგატყუებდი. მაპატიე, დედიკო! ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, სიცრუის თქმა რომ დამჭირდა, თუმცა ეს სიცრუე არც იყო: მე სიკვდილის შემდეგაც მუდამ შენთან ვიქნები, შვილო, როცა შენ რაიმეს გაკეთებას დაპირებ და გულში გაივლებ „გაუხარდებოდა თუ ეწყინებოდა ეს დედას“, იცოდე, რომ იმ წუთს მე შენს გვერდითა ვარ.

მადლობელი ვარ ღმერთის, საფლავში არ მიმყვება დარდი, რომ შენ ვერ აღასრულებ იმ კაცურ ვალს, რაც წუთისოფლის შვილს აკისრია. იყავი ასეთი, როგორიცა ხარ და ბედნიერიც იქნები. რა მდგომარეობაშიც უნდა ჩავარდე, „არასოდეს ცხოვრება მძიმე ტვირთად არ მოგეჩვენება, თუ გეცოდინება, რომ ტანჯვა ბედნიერების შემადგენელი ნაწილია. იქნებ დედა შვილს ამას არც უნდა ეუბნებოდეს, მაგრამ მაინც გეტყვი: სხვისთვის თავგანწირვაც ბედნიერებაა, თუნდაც ის, ვისთვისაც თავს სწირავ, არ იყოს ამის ღირსი.

საფლავში დარდად მხოლოდ ის მიმყვება, მარტო, უდედმოდ რომ გტოვებ ამ ქვეყანაზე, მაგრამ შენ ხომ იცი, ჩემი ბრალი არ ყოფილა, და ამას გიბარებ ლოცვით და ფიცით: ისე ნუ იზამ, შენ შვილებსაც შენსავით გულს ენაკლულებოდეს — და-ძმა არა მყავსო. მარტო შენი და შენი შვილების ნაბიჯები თუ გაათბობენ ჩემს საფლავს“.

იგი ამ უკანასკნელი ბარათის დაწერის დღეს გარდაიცვალა, თითქოს საგანგებოდ გამოიზოგაო ენერგია და სიცოცხლე.

მოხუცმა მეზობელმა პირნათლად შეასრულა დედის ყველა თხოვნა და სურვილი. მუდამ თავის დროზე უგზავნიდა დედის წერილებს შვილს და იმაზეც იზრუნა, რომ სხვა წყაროებიდან არ გაეგო პატიმარს დედის სიკვდილი. ყველა წერილის გაგზავნა საჭირო არ შეიქნა — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა მისი თხოვნა და მერაბ მაისურაძე ვადამდე სამი წლით ადრე დაბრუნდა პატიმრობიდან. მოხუცმა ბინის თამაზე მიცემული პირობაც პატიოსნად შეასრულა და ის პატარა ოთახი შეუნარჩუნა დაქცე-

[illegible]

ვილით გამახსენებს, თუ რა მძიმე ტვირთს ჰკიდებს ხელს ჟურნალისტი, ადამიანების საქვეყნოდ განსჯას რომ კისრულობს, მე ჭკვას ვასწავლიდი, მორალს და ზნეობას ვუკითხავდი იმ ადამიანს, რომლის დარიგება თავათვე გამომადგებოდა.

და აკი გამომადგა კიდეც.

მიხეილ მიქაძე.

შრომით გამოვლილი წლები

აგრონომის ღვაწლი

მ. დოლაბერიძე 80 წლისაა

ჩვენი სოფლის მშრომელები ყოველწლიურად რეკორდულ მიჯნებს რომ აღწევენ, ამას უწინარეს ყოვლისა შრომის ნოვატორთა, წარმოების ჩინებულ ორგანიზატორთა ავანგარდს უნდა ვუმადლოდეთ. ამ ავანგარდში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი კი ღვაწლმოსილ აგრონომს, სოციალისტური შრომის გმირს მიხეილ დოლაბერიძეს უჭირავს. მან დაუღალავი და ნაყოფიერი შრომით განვლო 55 წელი. ამ ხნის მანძილზე იგი საქმის სიყვარულითა და ღრმა ცოდნით ემსახურება რესპუბლიკის სუბტროპიკული მეურნეობის აღმავლობას. ჯერ კიდევ 1927 წელს, როცა ის-ის იყო, საფუძველი ეყრებოდა ჩაის კულტურის სამრეწველო განვითარებას, მ. დოლაბერიძე აქტიურად მონაწილეობდა ამ დარგის კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების კადრებით დაკომპლექტების საქმეში. საგულისხმოა ისიც, რომ ამ პერიოდში მ. დოლაბერიძემ თავი გამოიჩინა არა მხოლოდ როგორც ამ საქმის დიდმა მცოდნემ და ორგანიზატორმა, არამედ როგორც ახალგაზრდა კადრების ნიჭიერმა აღმზრდელმაც. ახლა ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდი საქმე გააკეთეს ამ კადრებმა სუბტროპიკული მეურნეობის წარმატებით განვითარებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვალსაჩინო სპეციალისტი და უნარიანი ორგანიზატორი მ. დოლაბერიძე მუშაობდა საქართველოს „მიწსახკომის“ სუბტროპიკული კულტურების დარგის მთავარ აგრონომად, ტექნიკური კულტურების სამინისტროს ჩაის სამმართველოს უფროსად, იყო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სუბტროპიკული კულტურების, მევენახეობისა და მეხილეობის მთავარი სამმართველოს უფროსი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე. ამ პასუხსაგებ უბნებზე მოღვაწეობის დროს მას ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხის განხილვა-გადაწყვეტაში მიუღია მონაწილეობა; მისი თაოსნობით შემუშავებული პროექტების საფუძველზე ბევრი დადგენილება მიუღიათ ზემდგომ ორგანოებს სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების საკითხებზე.

მ. დოლაბერიძის სახელს უკავშირდება ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის, სუბტროპიკული ზონის რაიონებში ამ კულტურების მოვლა-მოყვანის არეალის გაფართოების საქმეში მოპოვებული წარმატებები. ყოველივე ამის წყალობით მან სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკთა აღიარება დაიმსახურა, პარტიამ და მთავრობამაც ღირსეულად დააფასეს ამაგდარი სპეციალისტის ღვაწლი და სამი ორდენისა და მრავალი მედლის კავალერს 1966 წელს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიანიჭეს.

სახელმოხვეჭილ აგრონომს დაბადების 80 და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წელი შეუსრულდა, მაგრამ კვლავ შემართებით ემსახურება მეჩაიეობის დარგის წინსვლის საქმეს.

მ. დარასელია,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი,

რ. ფანცხავა,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე.

ნლეულს დიდხანს არ ჩანდა თოვლი თბილისში, უთოვლოდ კი ზამთარი აბა რა სანახავია. და აი, თებერვლის მეორე ნახევარში (თუმცა ამ დროზე ამბობენ, „ხეში წყალი ჩადგაო“) ზამთარი დაგვიანებით, მაგრამ მაინც ეწვია ჩვენს დედაქალაქს. 17 და 18 თებერვალს გადაუღებლად თოვდა. ბაღებსა და სკვერებს თეთრი, ქათქათა საბანი გადაეფარა.

თოვლი ყველას თვალს ახარებს, მაგრამ „ზამთრის ზღაპარი“ მაინც ნორჩების სამყაროა. თბილისის ბაღებსა და შემოგარენში ამ დღეებში ასეთ სურათს ხშირად ნახავთ: გუნდაობენ, ციგებით დასრიალებენ, თოვლის პაპებს „ძერწავენ“.

სურათზე: კიროვის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ყმაწვილთა ჟრიამულია.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

გემრიელიც, ყუათიანიც ექიმი გვირჩევს

კარგა ხანია ცნობილია, რომ ღორის ხორცი საუკეთესო კვებითი ღირებულებით გამოირჩევა. მისგან დამზადებული კერძები შეიცავს სრულფასოვანი ცილის, ცხიმის, მინერალური მარილებისა და ექსტრაქტული ნივთიერებების კომპლექსს, აგრეთვე ზოგიერთ ვიტამინს.

ღორის ხორცი გამოირჩევა ცხიმიანობით (34 პროცენტამდე) და მის კატეგორიასაც ეს განსაზღვრავს. ცხიმიანი პირველ კატეგორიას მიეკუთვნება, მჭლე — მეორეს. მჭლე ხორცისაგან დამზადებული კერძი შედარებით უგემურია, ნაკლები კვებითი და ბიოლოგიური ღირებულება აქვს, და რაც მთავარია, უარყოფითად მოქმედებს ხორცში შემავალი ცილის ათვისებაზე. ღორის ხორცის ღირსებები თვალნათლივ რომ დავინახოთ, გადავხედოთ მის ქიმიურ შედგენილობას.

ქიმიური შედგენილობით ღორის ხორცი საქონლის ხორცისაგან თითქმის არ განსხვავდება (თუ არ გავითვალისწინებთ ცხიმის რაოდენობას). პირველი კატეგორიის ღორის ხორცი შეიცავს 50 პროცენტ წყალს, — 14 ცილას, 19 — ცხიმს, 0,9—ნაცარს. მეორე კატეგორიის საქონლის ხორცი შეიცავს 49,2 პროცენტ წყალს, 15,3 — ცილას, 2,8 — ცხიმს, 0,7 — ნაცარს.

ბიოლოგიური თვისებებით ღორის ხორცის კუნთოვანი ნაწილის ცილა მაღალი ღირებულებისაა, რადგან შეიცავს ყველა ამინომჟავას, რომლებიც მასში ჰარმონიულად არის შეწონასწორებული. ყოველ 100 გრამ პროდუქტში საშუალოდ შედის 0,26 გრამი ტრიპტოფანი, 1,62 — ლიზინი, 1,08 — არგინინი, დანარჩენი ამინომჟავების ჩამოთვლას არ შევუდგებით, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზმის ზრდისათვის დასახელებულ ე ბ ი გახლავთ. სითბური დამუშავების დროს ამინომჟავები უმნიშვნელოდ იცვლება.

ხორცი მდიდარია ექსტრაქტული ნივთიერებებით. ამიტომ არის იგი გემრიელი და საჭმლის მომნელებელი ჯირკვლების მასტიმულირებელი. საქონლის ხორცთან შედარებით ორჯერ უფრო მდიდარია აზოტური ექსტრაქტებით. შემწვარი მკვეთრად ამაღლებს საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფას. მოხარშული ამ თვისებებს მოკლებულია და ამიტომ ფართოდ გამოიყენება რაციონალურ კვებაში. ხორცის ქონის ათვისების უნარს განსაზღვრავს მისი დნობის ტემპერატურა. 33-46 გრადუსი სითბო სჭირდება ღორის ხორცის ქონის დნობას, საქონლისას კი — 40-50 გრადუსი, მაშასადამე, ღორის ქონი უფრო ადვილი ასათვისებელია.

ღორის ქონი ბიოლოგიური თვისებებითაც გამოირჩევა. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს გაუჯერებელ ცხიმოვან მჟავეებს, მათ შორის არაქიდონის მჟავას, რომლის რაოდენობა ორჯერ აღემატება საქონლის ქონში არსებულს. გაუჯერებელი ცხიმოვანი მჟავეებით მდიდარი პროდუქტი სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. კვების დარგის სპეციალისტებმა (ა. პოკროვსკიმ, მ. ლევაჩოვმა და სხვებმა) დაამტკიცეს, რომ ზემოაღნიშნული მჟავეები, შედიან რა უჯრედის მემბრანის შემადგენლობაში, მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლაში, არეგულირებენ ლიპიდურ ცვლას, აქვეითებენ ქოლესტერინს სისხლში.

ეს ხორცი არის ადამიანის ორგანიზმისთვის მინერალური მარილების მნიშვნელოვანი მიმწოდებელიც. შეიცავს (მილიგრამობით): ფოსფორს — 150, კალიუმს — 240, რკინას — 2, მაგნიუმს — 16, ნატრიუმს — 54, მიკროელემენტებიდან აღინიშნება სპილენძი, თუთია, იოდი.

ყველაზე მეტად იგი „ბ“ ჯგუფის ვიტამინების მნიშვნელოვანი წყაროა. ამ მხრივ იგი გაცილებით მდიდარია, ვიდრე საქონლის ხორცი. მივმართოთ მაჩვენებლებს მილიგრამი პროცენტობით ბ1 — 0,93, ბ2 — 0,16, ბ6 — 0,61, პპ — 2,7, პანტოთენის მჟავა — 0,08, ბ12 — 0,004.

ღორის ხორცის ქიმიური შედგენილობისა და ფიზიოლოგიური თვისებების ზემოთ მოყვანილი მონაცემები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი მაღალი კვებითი და ბიოლოგიური ღირებულების პროდუქციაა, რაც გვიკარნახებს მოსახლეობას ფართო რეკომენდაცია მივცეთ ამ ხორცის რაციონალურ კვებაში გამოყენებისათვის.

გ. აბდუშელიშვილი,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ნეპალელთა დელეგაცია საქართველოში

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მოწვევით ჩვენს ქვეყანაში მეგობრულ ვიზიტად იმყოფება ნეპალის სამეფოს სპორტული დელეგაცია. მას ხელმძღვანელობს ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი შააჰა განდი.

ნეპალის სპორტული მოღვაწენი ჩვენი რესპუბლიკის სტუმრები იყვნენ. დელეგაცია გაეცნო სოციალურ-ეკონომიკურ და სპორტულ მიღწევებს, დაათვალიერეს თბილისის სპორტული ბაზები, საუბარი ჰქონდათ საქართველოს სპორტკომიტეტში.

დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ჩერქეზიამ. (საქინფორმი).

ჭადრაკი

ზურაბ სტურუა სსრ კავშირის ჩემპიონია

სასიხარულო ცნობა მოვიდა ოდესიდან. სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკეთა ჩემპიონატის ბოლო ტურში ზურაბ სტურუამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მოსკოველ ს. გორელოვთან და 9,5 ქულა მოაგროვა. 9,5 ქულა აქვს ერევნელ ს. ლპუტიანსაც, რომელიც ყაიმზე შეუთანხმდა ივანოველ ა. ხარიტონოვს. სსრ კავშირის სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით ზ. სტურუასა და ს. ლპუტიანს მიენიჭათ სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება ახალგაზრდა ოსტატთა შორის.

მესამე-მეოთხე ადგილები 9,5 ქულით გაიყვეს ლენინგრადელმა ა. ერმოლოვსკიმ და რიგელმა ვ. კენგისმა. ზ. აზმაიფარაშვილმა 7,5 ქულა მოაგროვა, ხოლო მაია ჩიბურდანიძემ — 6 ქულა.

ერევნის საზონათულო რისო ტურნირზე

ერევანში მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირზე ჩატარდა მეორე ტური. თ. გიორგაძის შეხვედრა ე. გელერთან ყაიმით დამთავრდა. ლ. ფსახისმა მოუგო ო. რომანიშინს, ვ. კუპრეიჩიკმა — ვ. ცეშკოვსკის. ყაიმით დამთავრდა ი. ზაიცევა-იუსუპოვისა და ე. სვეშნიკოვ-ვაჰანიანის შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ორი ტურის შემდეგ 1,5-1,5 ქულა აქვთ ვ. კუპრეიჩიკსა და ლ. ფსახისს.

შვიდი ტურის შემდეგ

მარ-დელ-პლატაში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. მეშვიდე ტურში ჰოლანდიელმა დიდოსტატმა ტიმანმა დაამარცხა არგენტინელი კარლოს პალერმო და დაეწია ტურნირის ლიდერს ლაიოშ პორტიშს, რომელმაც გადადო პარტია დანიელ ბენტ ლარსენთან. ორივე მოჭადრაკეს ახლა 5,5 ქულა აქვს.

ა. კარპოვისა და არგენტინელ მიგელ ნაიდორფის, ლევ პოლუგაევსკისა და პარაგვაელი ზენონ ფრანკოს პარტიები გადაიდო.

თანამედროვე ხუთჭიდი

თასი გ. გოგუაძემ მოიპოვა

თბილისში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“ და დნეპროპეტროვსკის გუნდები. „დინამო“ ორი გუნდით გამოდიოდა. შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მეორეკურსელმა, 19 წლის დინამოელმა გიორგი გოგუაძემ. მან 5.521 ქულა მოაგროვა და საქართველოს თასი მოიპოვა. ვერცხლის მედალი წილად ხვდა დიმიტრი გრიგოროვს, ხოლო ბრინჯაოს მედალი მოიპოვა სსრ კავშირის 1981 წლის ჩემპიონმა იგორ ბრიზგალოვმა (ორივე „დინამო“).

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „დინამოს“ ახალგაზრდულმა ნაკრებმა, მეორე იყო „დინამო“, მესამეზე არიან უკრაინელი სპორტსმენები.

მაღაროელთა სახალხო ანსამბლი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელთა კულტურის სასახლესთან არსებულ მომღერალთა თვითმოქმედ გუნდს სამ ათეულ წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. მას სათავეში ედგნენ ღვაწლმოსილი ლოტბარები ვ. ბიწაძე, ბ. გველესიანი, მ. სებუა. ახლა მათ ტრადიციას განაგრძობს ხალხური პოლიფონიური მუსიკის დიდი მოამაგე, კომპოზიტორი მ. ხატელიშვილი.

თვითმოქმედ შემსრულებელთა პოპულარობაზე მეტყველებს გასტროლები საბერძნეთში, კვიპროსზე, ბულგარეთში, რუმინეთში, უკრაინაში, უზბეკეთსა და ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში.

სამთოელი მომღერლები მონაწილეობდნენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი მიძღვნილ კონცერტებში, ისინი ხალხური თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალის ლაურეატები არიან.

ახლახან სასიხარულო ცნობა მოვიდა მაღაროელთა ქალაქში — მათ საყვარელ გუნდს სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა.

ო. ნიქაბაძე.

„ლიმილი, ლიმილი“

ეს გახლავთ მეგობრული შარჟებისა და კარიკატურების ფრიად ორიგინალური კრებული, რომლის შედგენაზეც დიდი შრომა გასწია ჟურნალისტმა დ. ბუზუკაშვილმა. კრებულში შევიდა 100 წლის მანძილზე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა მხატვართა მიერ გამოქვეყნებული თეატრალური შარჟები, რომლებ-

შიც თავისებურად აისახა განახლებული თეატრის საუკუნოვანი გზა. ავტორმა-შემდგენელმა იგი შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის 100 წლის თავს მიუძღვნა.

„ხელოვნების“ მიერ გამოცემული ეს კრებული იხსნება სსრ კავშირის სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის უჩა ჯაფარიძის შესავალი წერილით. რედაქტორია ნ. ღვინეფაძე, მხატვარი — ნ. ლაფაჩი.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

ტელევიზია

19 თებერვალი

პირველი პროგრამით: 9.00 — „ვრემია“ (მ.), 9.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფიზკულტურული სალამი“, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — დოკუმენტური ფილმი „დიალოგი გრძელდება“, 11.00 — „ქართული ფილმი-60“ მხატვრული ფილმი „ბაში-აჩუკი“, 12.30 — გადაცემა „დაგელოცოთ მარჯვენა“, 13.30 — სტუდენტებისათვის — უმაღლესი მათემატიკა, 14.00 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „გონიერი საგნები“. პირველი და მეორე სერია, 16.10 — დოკუმენტური ფილმი „თ. დოსტოევსკი“, 17.00 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „ანდერსენის ზღაპრები“, „ეს არაჩვეულებრივი ბავშვები“, 17.50 — პროფტექნიკური განათლების სკოლების მოსწავლეთათვის — „ჩვენი თვითმოქმედება“, 18.50 — გადაცემა — „ყველა საამქროში მუშაობს“, 19.10 — კონცერტი, 19.45 — „დღეს მსოფ- [illegible]

ლი ქართული საგალობლები“, 23.15 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“-მინსკის „რტი“, მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი, 23.55 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით: 16.05 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მაღლა მხოლოდ ცაა“, 16.50 — მასწავლებლის საათი — ქიმია, 17.35 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ბედნიერებას გპირდები“, 18.15 — განცხადებები

თეატრი

19 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაიადერა (28-ე აბონ. მე-5 წარმოდგენა); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შეშლილი, შეშლილი ახალი წელი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შევჰყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე; თბილისის სახელმწიფო დრამატული [illegible]

კომუნისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

ლენინის ქ. 14.
380096, თბილისი-96.

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეები — 99-93-08, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-48-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მშრომელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 431-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყარო — 23-66; ტყიბული — 25-82.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434   უე 09080   1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20